ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## ირაკლი კობახიძე: „სააკაშვილი მინიმუმ 6 წელი ციხეში იჯდება“

გვ.2





ხუთშაბათი, 21 ოქტომბერი, 2021 №198 (8727) ფასი: 60 თეთრი

# ნიკა მელია: „გამარჯვების შემთხვევაში ჩემი მოადგილეები მამუკა ხაზარაძე, ზურაბ ჯაფარიძე, ელენე ხოშტარია და ირაკლი აბესაძე იქნებიან“

გვ.2



## სალომე ზურაბიშვილი დაპირისპირებას უწყობს ხელს

კახა კოჟორიძე: „ვალერი გელაშვილმა თქვა, სააკაშვილს ვაპატიებო და პრეზიდენტმა – არასდროსო“



გვ.3

გვ.3



## „კოალიციური მთავრობის დროს, რეალური ძალაუფლება ნაციონალებს ექნებათ“

რამაზ საყვარელიძე: „არჩევნების წინ გამოკითხვებით აშკარა იყო, რომ „ოცნებას“ არ ჰქონდა ისეთი მაღალი პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც არჩევნებზე დაფიქსირდა“



გვ.2

## „ისევ ჩაგვკეტავენ, სხვა არაფერი იციან... მეხუთე ტალღა საკმაოდ მძიმე იქნება“

ვატო სურგულაძე: „ჯანდაცვის სფეროს პირველი პირები თუ არ გადადგებიან, არაფერი გვეშველება“

## მამუკა გიორგაძე: „პოლიტიკურმა სპექტაკლებმა შეიძლება მძაფრი სახე მიიღოს“



გვ.4



გვ.5

## შსს-ში მასშტაბური განიარაღების პროცესი დაიწყო

ISSN 1987-9385

4 საზოგადოების რა ნაწილისთვის იქნება გრიპის ვაქცინა უფასო?

5 იოსებ ხახალეიშვილი ნიკა გვარამიას და ეკა გაგუას უჩივის
ის მთავარი არხისგან 55.555 ლარს ითხოვს

5 „ზურაბ ბერიძე დამემუქრა, მოგკლავ, კისერს მოგჭრი და ფანჯრიდან გადაგაგდებო“
რას წერდა შატალოვა ივნისში

6 გფბ-მ აშშ-ში დერიპასკას სახლებში ჩხრეკა ჩაატარა

# „ისევ ჩაგვკეტავენ, სხვა არაფერი იციან... მეხუთე ტალღა საკმაოდ მძიმე იქნება“

## ვატო სურგულაძე: „ჯანდაცვის სფეროს პირველი პირები თუ არ გადადგებიან, არაფერი გვეშველება“

იაგო ნაცვლიშვილი

**მოგვიწევს თუ არა ჩაკეტვა? რამდენად სწორია მწვანე პასპორტების შემოღება? რა ვერ გააკეთა ხელისუფლებამ და ვისი ბრალია ვაქცინაციის დაბალი მაჩვენებელი? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ლელოს“ წევრი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტი ვატო სურგულაძე საუბრობს.**



***— მოვისმინეთ ამირან გამყრელიძის განცხადებები კოვიდთან დაკავშირებით. ნელ-ნელა ხომ არ მივდივართ ისევ ჩაკეტვისკენ, იმის სანაცვლოდ, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილის აცრა ვერ მოახერხეს?***

— ისევ იგივე გზით მივდივართ, ვინაიდან აბსოლუტურად უნიათო მთავრობა და უნიათო პრემიერ-მინისტრი გვყავს, რომლებიც არაფერს არ აკეთებენ იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სიტუაცია და ვაქცინაციის პროცესი იყოს უფრო აქტიური. ეს მეხუთე ტალღაა თუ მერამდენეც არის, გვექნება საკმაოდ მძიმე. იმის მიუხედავად, რომ მოსახლეობის 30%-მდე არის ორმაგად აცრილი, ეს მაინც არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვიფიქროთ, არ იქნება მძიმე. 80%-ის აცრაა საჭირო, რათა ჩვენ თავი უსაფრთხოდ ვიგრძნოთ და ყოველი ახალი ტალღა შიშს არ იწვევდეს. 99 ბაღი დაიკეტა 2 კვირაში, სკოლებიც იკეტება, ბევრი კლასია დაკეტილი და ეს რისი ბრალია? — რა თქმა უნდა, არსებული მთავრობის. მე ვერ ვხედავ იმას, რომ რამე კეთდებოდეს სიტუაციის გასაუმჯობესებლად. ამიტომაც ჩაკეტავენ, რადგანაც მართვის სხვა მეთოდები ამ ხალხს, სამწუხაროდ, არ აქვს, ვინც ახლა ხელისუფლებაშია.

***— გამყრელიძემ თქვა, რომ მოგვიწევს ხისტი მეთოდების გამოყენებაო? თქვენი აზრით, რა იგულისხმება?***

— ცემით ვერ გვცემენ და ჩაგვკეტავენ ისე, როგორც ვიყავით ადრე. გამოაცხადებენ „ლოქდაუნს“, რაც ჩვენ ისედაც გაუბედურებულ ეკონომიკას სრულ კოლაფსამდე მიიყვანს. ეს ისედაც არის, დაწყებულია შიმშილობა და ხალხის ყოველდღიური მდგომარეობა უარესდება, რასაც ალბათ თქვენც ხედავთ.

***— იმასაც ვხედავთ, რასაც ეკონომიკის მინისტრი გვეუბნება, რომ როგორი აღმავლობა გვაქვს.***

— ზოგიერთ ტელევიზიას რომ ვუყურებ, შთაბეჭდილება მრჩება, რომ სხვა ქვეყანაში ვცხოვრობთ. ვინმემ გამიკეთოს ვიზა, საქართველოში მინდა ცხოვრება. ეს განცდა მიჩნდება, როდესაც ვუსმენ ჩვენ ეკონომიკის მინისტრს და ე. წ. ამხანაგ — „ტავარიშ“ პრემიერ-მინისტრს.

***— „ოცნების“ საქართველოში გინდათ ვიზა?***

— „ოცნება“ რასაც გვიყვება, ზოგჯერ სურვილი მაქვს, რომ იქ ვიცხოვრო. რეალობაში, სადაც ვართ, ამას ჩემზე კარგად ხედავთ.

***— ხალხს აბრალებენ, რომ არ აიცრა. ალბათ მასაც აქვს თავისი წილი პასუხისმგებლობა, მაგრამ თავის შეცდომებს რატომ გაურბიან?***

— მოსახლეობაა აზერბაიჯანშიც, ისრაელშიც და ნორვეგიაშიც. იქ, რატომ აიცრა 80% და ჩვენთან 50% მაინც?! მოსახლეობაა ლიეტუვაშიც და ბულგარეთშიც. ჯანდაცვის მინისტრი იქნება, პრემიერი თუ გამყრელიძე, გამოდიან პრეტენზიით, რომ ჩვენ კარგი მთავრობა ვართ და ხალხი არ გვივარგაო. სინამდვილეში არაფერს არ აკეთებენ. საუბრობენ, რომ გავამკაცრებთ რეგულაციებსო და გამკაცრება კი არ უნდა, არამედ აღსრულება. უნდა აღასრულონ.

***— გამყრელიძე მოგვიწოდებდა, რომ ცოტა ხანი მოგვეთმინა ღრეობებისგან და ცოტა ხანში ვნახეთ, როდესაც თავად კრამიტების სმასაც არ ერიდება. აქვს მორალური უფლება, რამე მოუწოდეს ხალხს?***

— მე ამაზე კომენტარს არ გავაკეთებ, მაგრამ ვიტყვი იმას, რომ ჩვენ ვართ ტიპური დიქტატორული ქვეყანა, სადაც მთავრობის წევრებისა და მეგობრებისთვის ყველაფერი შეიძლება, ჩვენთვის კი კანონი მუშაობს.

***— გამყრელიძეს აქვს კიდევ საზოგადოების ნდობა ამის მერე და ხომ არ უნდა გადამდგარიყო?***

— ნდობა აღარ აქვს, მაგრამ პირდაპირ გეტყვით — ამირან გამყრელიძე ერთადერთი კაცია მთელ ამ სტრუქტურაში, რომელმაც საქმე იცის, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ჰყოფნის ვაჟკაცობა, თქვას, რომ ეს ასე არ შეიძლება. როდესაც ივნისში ხსნი ნიღბების ტარების ვალდებულებას და არ აკონტროლებ რა ხდება აგვისტოში აჭარაში, ეს არ შეიძლება. შესაძლოა ეუბნება დისკოორდინაციის საბჭოს (ასე ვეძახი, რადგან ის რეალურად არ არის კოორდინაციის საბჭო), მაგრამ არავინ უჯერებს. როცა არავინ გიჯერებს, უნდა თქვა, რომ თავი დამანებეთ და მე მივდივარო. გამყრელიძე ერთ-ერთი ყველაზე განათლებული და გათვითცნობიერებული კაცია საზოგადოებრივ ჯანდაცვაში, მაგრამ არის ის პრობლემა, როდესაც არ უჯერებენ. ამ დროს, არ სჯობს წამოხვიდე, ვიდრე ვიღაცას თავი აგინებინო?! რა ვიცი, მე ასე მიმაჩნია.

***— გავიგეთ ის, რაც არ გააკეთეს, მაგრამ ახლა რა უნდა გააკეთონ?***

— ჩვენ — ექსპერტების ჯგუფს არ გვთვლიან ექსპერტებად და ვაიექსპერტებს გვეძახიან, მაგრამ ჩვენ არაერთხელ შევთავაზეთ კარგი გეგმები. ისიც კი ვუთხარით, რომ მზად ვართ, ჩვენც ავიღოთ პასუხისმგებლობა, მაგრამ გვითხრეს უარი. ძალიან ბევრი პროექტი იყო შეთავაზებული და ისიც კი შევთავაზე, რომ ვივლი რაიონ-რაიონ, ჩავატარებ შეხვედრებს ექიმებთან, მასწავლებლებთან... ვინც წინა ფრონტზეა და ავუხსნი მათ ვაქცინაციის პლუსებს, ათიდან ხუთი რომ აიცრას, ეს უკვე დიდი შედეგია. ამას ვაკეთებ უსასყიდლოდ და კარგი შედეგები მაქვს. ორიც რომ აიცრას, ესეც დიდი საქმეა. ვივლი, ოღონდ მანდატი უნდა მქონდეს, რომ ვატო სურგულაძე ჩამოვიდა და აქვს უფლება ჩაატაროს შეხვედრა ექიმებთან, ან ჩავიდა რესურსცენტრებში, სადაც შეაგროვეს მასწავლებლები და ავუხსენი.

ადამიანებთან უშუალო შეხვედრებს უფრო დიდი შედეგი მოაქვს, ვიდრე იმ უსახო ბილბორდებს, რომელიც მოუხსნეს, ან უსახო სარეკლამო რგოლებს. ამაზეც უარს გვეუბნებიან. თუ არ ჩავთვლით პრემიერის გაუგებარ ცვლილებას, ერთი და იგივე ხალხია და არ გამოსდით კოვიდის მართვა. ამიტომ, უნდა წავიდნენ და მოვიდნენ ის ადამიანები, რომელთაც იციან, რა უნდა გააკეთონ და პასუხისმგებლობის გრძნობა აქვთ. ესენი თუ არ გადადგებიან, ამას ჩემი და ჩემზე უფრო ჭკვიანი სპეციალისტების რჩევები არ უშველის. დეჟა-ვუ მაქვს, რაც 2020-ში იყო, იგივე ხდება ახლაც, არაფერი არ შეცვლილა.

გამოდის ბატონი ცერცვაძე და ამბობს, რომ რამხელა შედეგი მივიღეთ, დღეში 80 ადამიანი აღარ გვიკვდება, 43 გვიკვდებაო. რატომ გიკვდება მაგდენიც და რატომ ხარ მსოფლიოში პირველ ადგილზე მილიონ მოსახლეზე გარდაცვლილი ადამიანების რაოდენობით?! ამ კითხვას თავის თავს რატომ არ უსვამენ?! უნდა მოვიდეს ის ხალხი, ვინც საქმეც იცის, პასუხისმგებლობასაც არ გაურბის, სხვისი აზრის მოსმენაც და შედეგს მოსახლეობას არ აბრალებს. გვქონდა ექსპერტთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ: დათო გზირიშვილი, გიორგი გოცაძე, სერგო ჩიხლაძე, ზურაბ ჭიაბერაშვილი და სხვები. არც კი შეგვხვდნენ. 3-4 დახვეწილი გეგმა გვაქვს გაგზავნილი და არც კი შეგვხვდნენ. ერთხელ შეგვხვდა ჯანდაცვის მინისტრი და ისეთი საცოდავი იყო, ვერაფერი ვერ ვუთხარით. პრობლემა ის არის, რომ ადამიანის სიცოცხლეს ვერ დავაბრუნებთ, თორემ, ჯანდაბას პრობლემა.

***— მწვანე პასპორტი შემოსაღებია?***

— ალბათ მოუწევთ, მაგრამ როცა გერმანიას და ნორვეგიას შემოაქვს, იქ ჩატარდა ძალიან დიდი მუშაობა ანტივაქსერებთან. ამიტომ, ამ ხალხმა უთხრა, რომ ჩვენ მაქსიმუმი გავაკეთეთ და ახლა მწვანე პასპორტიც იქნება და ვაშლიც. გერმანიაში ბარში ვერ შეხვალ, თუ ორჯერადად აცრილი არ ხარ. ამის გაკეთება მოგვიწევს, მაგრამ ამ მთავრობას ამის გაკეთების მორალური უფლება არ აქვს, რადგან არაფერი გააკეთა, თორემ ამის შემოღების მომხრე ვარ.

ვაქცინაციას ჰქვია საზოგადოებრივი სიკეთე და შენ რომ არ იკეთებ, ბაღის მასწავლებელი რომ ხარ, საფრთხეა, რომ ჩემ შვილს გადადებს, ან ექიმი რომ არ იკეთებს, ეს ხდება საფრთხე, რომ სხვა პაციენტს გადადებს. ამიტომაც ვაქცინაცია, ეს არ არის კოკა-კოლას ყიდვა, ეს არის პასუხისმგებლობა სხვებზე. ეს არავის აუხსნია ადამიანებისთვის.

***— ჩემთვის ყველაზე გაუგებარია, როდესაც ექიმი არ იკეთებს აცრას.***

— რატომ? არ ჩატარებულა კამპანია. საფრანგეთში ჯერ კამპანია ჩაატარეს და მერე უთხრეს, რომ ვინც აცრილი არ ხართ, 1 სექტემბრიდან მიდიხართ უფასო შვებულებაშიო. მაგრამ მათ მთავრობას ამის მორალური უფლება ჰქონდა, რადგან ყველაფერი გააკეთეს ამისთვის — დაჯექი სახლში და როდესაც პანდემია გადაივლის, მერე ისევ დაბრუნდი სამსახურშიო. იგივე გააკეთეს მასწავლებლებთან.

მე არ ვარ ხელისუფლებაში, რომ ვიყო, ვიცი, რასაც გავაკეთებ. 2 თვეში დავარეგულირებდი სიტუაციას. აგერ საფრანგეთი ვახსენე და იქ ცოტა დაგვიანდა ვაქცინაცია სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით და ჯანდაცვის მინისტრი, რომელიც 2020 წელს გადადგა ამის გამო, ახლა მასზე საქმე აღძრეს გულგრილობის მუხლით და ამ დროს ჩვენთან იღებს ვინმე პასუხისმგებლობას?! ამაშია მთელი პრობლემა.

# ნიკა მელია: „გამარჯვების შემთხვევაში ჩემი მოადგილეები მამუკა ხაზარაძე, ზურაბ ჯაფარიძე, ელენე ხოშტარია და ირაკლი აბესაძე იქნებიან“

ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის ნიკა მელიას განცხადებით, დედაქალაქის მერის არჩევნების მეორე ტურში გამარჯვების შემთხვევაში ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის პოსტს აღარ დაიკავებს.

როგორც მელიამ განაცხადა, ის პარტიის რიგით წევრად დარჩება.

— გამარჯვების შემდეგ, ვალდებული ვარ, პირნათელი ვიყო თბილისელებთან მიმართებით და მჯერა, სწორ ნაბიჯს გადავდგამ, თუ გამარჯვების შემდეგ ნაციონალურ მოძრაობაში აღარ დავიკავებ მაღალ პარტიულ თანამდებობას. გამარჯვების შემთხვევაში პარტია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობას არ ვაპირებ. დავრჩები პარტიის რიგით წევრად. არ მგონია, სწორი იყო 1.5 მლნ-იანი ქალაქის მერი იყო და დღის განმავლობაში ერთი მხრივ მთავრობის სხდომას ატარებდე დედაქალაქის მერიაში და დღის სხვა ნაწილში პარტიაში თათბირს ატარებდე, — განაცხადა ნიკა მელიამ.

მან დედაქალაქის მერის მოადგილეობის კანდიდატებად მამუკა ხაზარაძე, ზურაბ ჯაფარიძე, ელენე ხოშტარია და ირაკლი აბესაძე წარადგინა.



— მამუკა ხაზარაძე იბრძოლებს ჩვენი შვილებისა და მხცოვანი ადამიანების კეთილდღეობისთვის, — განაცხადა ნიკა მელიამ.

ზურაბ ჯაფარიძის შესახებ კი მელიამ ხაზი გაუსვა, რომ ამ ადამიანს ყველაზე მეტი მხარდაჭერა აქვს ახალგაზრდებში.

— ახალგაზრდებში, რომლებიც ჩვენი მომავალია და რომლისთვისაც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მათ თბილისში ცხოვრება და დასაქმება უხაროდეთ, — განაცხადა მელიამ.

მანვე დედაქალაქის მერის მოადგილის კანდიდატებად ელენე ხოშტარია და ირაკლი აბესაძე დაასახელა.

# სააკაშვილს საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტზე ბრალი წარუდგინეს

გუშინ, 20 ოქტომბერს, რუსთავის №12 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტზე ბრალი ოფიციალურად წარუდგინეს.

ადვოკატ ბექა ბასილაიას განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება გმირობის აქტია და არ შეიძლება „იდგეს საკითხი — მესაზღვრემ პასპორტი შეამოწმა თუ არა“.

— ეს არის დასტური, ეს არის „ქართული ოცნების“ მიერ აღიარებული მიხეილ სააკაშვილის გმირობის დოკუმენტი. მიხეილ სააკაშვილმა შეგნებულად, საიმისოდ, რომ „ოცნების“ ხელისუფლებას, ამ ოლიგარქიულ ძალას არ ჰქონოდა პროვოკაციების საბაბი და არ მოეწყო დაპირისპირება ქართველ ხალხს შორის, აირჩია უმძიმესი, ურთულესი და გმირული გზა საქართველოში დასაბრუნებლად. და აქ არ შეიძლება იდგეს საკითხი — მესაზღვრემ პასპორტი შეამოწმა თუ არა. არ შეიძლება იდგეს საკითხი, შტამპი იქნა თუ არა ჩარტყმული. როდესაც ოლიგარქიული რეჟიმის მიერ დევნილი მესამე პრეზიდენტი ბრუნდება საქართველოში, ეს არის გმირობის აქტი და ზვიად გამსახურდიას გზის გაგრძელება და მადლობა „ქართულ ოცნებას“, რომ ეს ასახეს დოკუმენტალურად, — განაცხადა ბექა ბასილაიამ.



საქართველოს პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტზე წარუდგინა.

# ირაკლი კობახიძე: „სააკაშვილი მინიმუმ 6 წელი ციხეში იჯდება“



„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებით, მომდევნო 3 წელში „ნაცმოძრაობა“ საბოლოოდ დამთავრდება“.

როგორც კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, 3 წლის განმავლობაში ქვეყანაში არჩევნები აღარ იქნება და „ნაციონალურ მოძრაობას“ პოლარიზაციისა და დესტრუქციის შემოტანისთვის არანაირი ბერკეტი აღარ ექნება“.

— არჩევნები მოვიგეთ და არჩევნებთან ერთად მათი ე.წ. რეფერენდუმიც მოვიგეთ. სააკაშვილი არის ციხეში და მინიმუმ 6 წელი ციხეში იჯდება. ეს ქვეყანას დამშვიდების შესაძლებლობას აძლევს და ქვეყნის დამშვიდების აუცილებელი წინაპირობა ნაცმოძრაობის დამთავრებაა. ამ ქვეყანაში 3 წელი არჩევნები აღარ იქნება, შესაბამისად, „ნაციონალურ მოძრაობას“ პოლარიზაციისა და დესტრუქციის შემოტანისთვის არანაირი ბერკეტი აღარ ექნება. ამ 3 წელიწადში ნაცმოძრაობა საბოლოოდ დამთავრდება“ — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სალომე ზურაბიშვილი დაპირისპირებას უწყობს ხელს

## კახა კოჟორიძე: „ვალერი გელაშვილმა თქვა, სააკაშვილს ვაპატიებო და პრეზიდენტმა – არასდროსო“



ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს კახა კოჟორიძე პასუხობს.**

***– ბატონო კახა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ციხეშია. მისი გათავისუფლების მოთხოვნით საპროტესტო ტალღა აგორდა. როგორც იურისტი, როგორია თქვენი შეფასებები, რამდენად სამართლიანად ზის ის ციხეში და მის გასათავისუფლებლად რა სამართლებრივი გზები არსებობს?***

– მე გზებზე გავაკეთებ აქცენტს. პირველი, ყველამ ვიცით, რომ არის შეწყალების საკითხი, რომელიც პრეზიდენტის უფლებამოსილებაა. არ მივესალმებოდი პრეზიდენტის მიერ იმ ფორმულირებას, რაც მან გააჟღერა, რომ არც ახლა და არც არასოდეს არ შევიწყალებო. ეს არასწორი მიდგომაა საკითხისადმი. შეწყალების უფლებამოსილება პრეზიდენტს იმიტომ აქვს, რომ ის შეიძლება გამოიყენოს არა მხოლოდ ყოფილი პრეზიდენტის მიმართ, არამედ ყოფილა შემთხვევები, რომ პრეზიდენტებს შეწყალების აქტი გამოუყენებიათ უვადო პატიმრების მიმართ. ძალიან მძიმე დანაშაულებები რომ აქვს ჩადენილი, მკვლელობები და ა.შ. ასეთი პატიმრების მიმართ. მით უმეტეს, პრეზიდენტი რომ ყოფილ პრეზიდენტზე ამბობს, რომ მე მას არასოდეს არ შევიწყალებ, ეს არასწორია. არ უწყობს ხელს იმას, რომ ის დაპირისპირება, პოლარიზაცია და სიძულვილი, რაც ქვეყანაში არსებობს წლებია, ანგრევს და ხელს უშლის ამ ქვეყნის განვითარებას, რაღაცნაირად შერბილდეს.

***– არასწორი იყო სალომე ზურაბიშვილის განცხადება? მოჭრა საბოლოოდ ეს გზა?***

– დიახ, არასწორი იყო. თუმცა, რაც თქვა, არ ნიშნავს იმას, რომ სამართლებრივადაც ჩაიკეტა გზა მომავალში ამის გაკეთების. მომავალში მას შეუძლია თქვას, რომ შეიცვალა რაღაცა ვითარება, თუნდაც პოლიტიკური ვითარების გამო, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის ძალიან გაუარესების გამო და ასე შემდეგ. შესაძლოა, ეს საკითხი ისევ დაძრას. ეს მისი გადასაწყვეტი იქნება. თუმცა ფორმულირება და ასეთი აქცენტირება, რომ მე არასოდეს არ შევიწყალებ, არ იყო სწორი. მე მახსოვს, ვალერი გელაშვილის ინტერვიუ წავიკითხე, სადაც კითხვაზე, აპატიებ თუ არა მიხეილ სააკაშვილსო, ერთი წელი იჯდეს ციხეში და მერე ვაპატიებო. ვალერი გელაშვილი, რომელიც იყო მართლაც იმ ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი, როგორ არღვევდნენ ადამიანის უფლებებს. ერთ-ერთი საქმე ვალერი გელაშვილის საქმეა, რაზეც მიხეილ სააკაშვილს ბრალი აქვს წაყენებული და ვალერი გელაშვილმა თქვა, რომ ერთი წლის მერე მივუტევებო. ის კაცი, ვინც ასე მძიმედ იყო ნაცემი, ამბობს, რომ მე მას ვაპატიებ და პრეზიდენტი ამბობს, რომ მე მას არ შევიწყალებო. ხვდებით ხომ განსხვავებას?!

***– შეწყალების გარდა კიდევ რა გზებს ხედავთ?***

– შეწყალების გარდა, კიდევ არის ერთ-ერთი გზა, სასჯელის მოხდის გადავადება. თავიდან კი ვიტყვი იმას, რომ ამ საკითხის შესახებ იურიდიულ მექანიზმებზე მსჯელობა საინტერესოა, თუმცა მთავარი საკითხი არის პოლიტიკურ ნებაში. ჯერ უნდა არსებობდეს პოლიტიკური ნება და მერე უკვე იურიდიული მექანიზმის მოფიქრება შესაძლებელია.

***– „ქართულ ოცნებას“ არ გააჩნია დღეს ამის პოლიტიკური ნება?***

– დიახ, ასეა. შესაბამისად, პოლიტიკური ნება თუ არ არის, იურიდიული მექანიზმები რამდენიც არ უნდა იყოს, ის არ იქნება გამოყენებული. მოცემულ შემთხვევაში მთავარია პოლიტიკური ნების არსებობა-არარსებობა და არა იურიდიული წიაღსვლები. ერთ-ერთი მექანიზმი არის ის, რაც გაკეთდა „ოცნების“ მიერ 2012 წელს.

***– რას გულისხმობთ?***

– როცა საპარლამენტო კომიტეტმა გააკეთა სია, ვისიც მისი აზრით, იყო პოლიტიკური მსჯავრდების საქმეები და მერე ამნისტია შეახო პარლამენტმა. ესეც შესაძლებელია, თუმცა ამ გადაწყვეტილების მიღებაც დამოკიდებული იქნება საპარლამენტო უმრავლესობაზე და გასაგებია, რომ ამ მექანიზმსაც საპარლამენტო უმრავლესობა არ გამოიყენებს.

***– ამომრჩევლის გულის მოგებასაც ცდილობს „ოცნება“ და, მით უმეტეს, არ წავა ამაზეო.***

– მე არ მინდა „ოცნების“ მოტივაციაზე ვისაუბრო, რატომ და როგორ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ პოლარიზაციას და დაპირისპირებას ხელისუფლება იყენებს. ახლა მათ ვორდინგში, რასაც ჩვენ ბოლო დღეებია ვისმენთ, არის ის, რომ არ უნდა დავუშვათ რომელიმე ქალაქში გაიმარჯვოს ოპოზიციამო, რადგან ისინი იმ ქალაქს გადააქცევენ რევოლუციურ შტაბებადო. ეს არის კატეგორიულად არასწორი. პირიქით, უნდა დავუშვათ, რომ სადღაც გაიმარჯვოს ერთმა ოპოზიციურმა პარტიამ, სადღაც მეორემ. თუ სხვადასხვა ქალაქში იქნება სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის მერი, ამ შემთხვევაში ამ კონკრეტულ პარტიას ენდომება, რომ იმ ქალაქში, რაც შეიძლება მეტი საქმე გააკეთოს და ამით აჩვენოს, რომ ნახეთ, მე საქმის გაკეთება შემიძლია. ამით სხვადასხვა ქალაქის მერები ერთმანეთს შეეჯიბრებიან საქმის კეთებაში. კონკურენცია როგორც ბიზნესშია კარგი, ისეა პოლიტიკაში კარგი. როგორც ბიზნესის განვითარებას კლავს მონოპოლიზაცია, ასევეა პოლიტიკაში. ჩვენ ვხედავთ ერთპარტიულ მმართველობას, რომელიც კლავს განვითარებას. დროა კონკურენცია შემოვიდეს პოლიტიკურ ველზე.

***– ხედავთ იმის შანსს, რომ ზოგიერთ ქალაქში გაიმარჯვოს ოპოზიციამ?***

– მე მაქვს ამის მოლოდინი. ამ მოლოდინს აჩენს თუნდაც ამომრჩევლის განწყობა. მეორე ტურები იმიტომ არის დღევანდელი რეალობა, რომ ამომრჩეველს ეს ხელისუფლება არ მოსწონს. მთელი ადმინისტრაციული რესურსის, სუსის და ასე შემდეგ ჩართვის მიუხედავად, აი ამდენ ქალაქში „ოცნებამ“ გამარჯვება ვერ შეძლო. შესაბამისად, იმის ალბათობა, რომ მეორე ტურში ოპოზიციამ გაიმარჯვოს, ძალიან რეალურია და ეს აწყობს სახელმწიფოს. უნდა იყოს კოალიციური მმართველობა. ორი გზაა, ან უნდა აირჩიო არსებული მოცემულობა, ან უნდა დაუჭირო მხარი ცვლილებას. ცვლილება კი არ ნიშნავს იმას, რომ ნაციონალური მოძრაობა მოდის ხელისუფლებაში. ჩვენ ვსაუბრობთ კოალიციურ მმართველობაზე და ლელო მხარს უჭერს კოალიციურ მმართველობას. რეალურად შემცირდება კორუფციის რისკი, იქნება უკეთესი მმართველობის სტილი და საბოლოოდ მოგებული იქნება ამომრჩეველი.

# „კოალიციური მთავრობის დროს, რეალური ძალაუფლება ნაციონალებს ექნებათ“

## რამაზ საყვარელიძე: „არჩევნების წინ გამოკითხვებით აშკარა იყო, რომ „ოცნებას“ არ ჰქონდა ისეთი მაღალი პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც არჩევნებზე დაფიქსირდა“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო რამაზ, ოპოზიციის შეთავაზება – კოალიციური მმართველობა, რამდენად მიმზიდველი შეიძლება იყოს ამომრჩევლისთვის?***

– მეორე ტურის წინ კოალიციურ მმართველობაზე, ჩრდილოვან კაბინეტზე ლაპარაკს, ის ფუნქცია და ამოცანა აქვს, რომ ამომრჩევლისთვის უფრო მიმზიდველი გახდეს ნაციონალური მოძრობა, უფრო კონკრეტულად კი მისი კანდიდატი ნიკა მელია.

კოალიციური მმართველობა საინტერესო იქნებოდა ნებისმიერი სხვა პარტიის შემთხვევაში. დავაკონკრეტებ რასაც ვგულისხმობ: თუ, ეს შემოთავაზება ექნებოდა ნებისმიერ სხვა ძალას და არა ნაციონალურ მოძრაობას, მართლაც შეიძლება ეს ყოფილიყო მიმზიდველი იდეა.

***– ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში, რატომ არ არის ასეთი მიმზიდველი?***

– იმიტომ, რომ რთულად წარმოსადგენი და დასაჯერებელია, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ძალაუფლება ვინმეს გაუყოს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს უფრო შირმაა, ვიდრე რეალობა, რეალურად განხორციელებადი ამოცანა.

თავისთავად, „ნაციონალების“ მხრიდან კოალიციურ კაბინეტზე საუბარი ნიშნავს იმის ჩვენებას, რომ მე, ნაციონალური მოძრაობა კი არ მოვდივარ ერთპიროვნულად, არამედ ყველა ერთად მოვდივართ, რომ ერთმანეთი დავაბალანსოთ. ეს მშვენიერი იდეაა, ძალიან მომხიბლავად გამოიყურება, მაგრამ რამდენად შესრულებადია, რამდენად წავა ამაზე ნაციონალური მოძრაობა, ეს მაეჭვებს. სიმართლე გითხრათ, ეს უფრო ამომრჩევლისთვის გადაგდებული ანკესი მგონია. ეს უფრო დეკორაციაა.



***– თქვენ ამბობთ, რომ რეალური კოალიცია დგება არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე და არა სურვილიდან გამომდინარე?***

– დიახ, სწორედ ამას მოგახსენებთ. რეალური კოალიცია, ის კოალიცია, რომელსაც უნარი შესწევს დაბალანსების, რომელიც ევროპული გამოცდილებისაა, დგება არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე. არჩევნების შედეგები კი საყოველთაოდ ცნობილია. ცნობილია რა შედეგები აქვს ნაციონალურ მოძრაობას და დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებს. ამიტომ ვამბობ, რომ სხვა პარტიები მხოლოდ დეკორაციის როლში იქნებიან, რეალური ძალაუფლება კი ნაციონალურ მოძრაობას ექნება.

***– რა მოლოდინი გაქვთ, თბილისში მეორე ტურის შედეგები როგორი შეიძლება იყოს?***

– როდესაც ერთმანეთის პირისპირ რჩებიან „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა, არჩევნების უახლესი ისტორია გვიჩვენებს, როგორია ხოლმე შედეგი. ასეთი დაპირისპირება იყო საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურზე და შედეგები ვნახეთ, როგორი დადგა. ბოლო წუთში ამომრჩეველმა ნახა, რომ შეიძლება ნაციონალური მოძრაობა მობრუნდეს, მან ეს საფრთხედ აღიქვა და გააკეთა ის არჩევანი, რაც გააკეთა.

***– დღესაც იმუშავებს ეს?***

– იმუშავებს, რადგან ადამიანებს ნაციონალურ მოძრაობასთან ცხრაწლიანი ნაცნობობა აკავშირებს. ამიტომ არის ასეთი მობილიზება, როდესაც ერთი ერთზე რჩება ეს ორი ძალა ერთმანეთთან. სხვათა შორის, ასეთი მობილიზება ვნახეთ 2 ოქტომბრის არჩევნებზეც, რომელიც სააკაშვილის ჩამოსვლით იყო გამოწვეული. არჩევნების წინ გამოკითხვებით აშკარა იყო, რომ „ოცნებას“ არ ჰქონდა ისეთი მაღალი პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც არჩევნებზე დაფიქსირდა.

***– რაც შეეხება სააკაშვილს, პრემიერმა ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მეორე ტურის შემდეგ საერთოდ დავივიწყებთ სააკაშვილსო. რამდენად იქნება ეს შესაძლებელი, რადგან ის შიმშილობს და ყოველდღე შეიძლება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გართულდეს?***

– სამედიცინო დახმარებაზე ის უარს არ ამბობს, რომ ენერგიულად იგრძნოს თავი. სამედიცინო დახმარების მიღება ნიშნავს, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქროს.

***– როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა იჩქარა თუ არა იმ განცხადების გაკეთება, როდესაც თქვა არასდროს არ შევიწყალებო.***

– დიახ, იჩქარა და არ გამოვრიცხავ, რომ სპეციალურად იჩქარა.

***– რატომ?***

– მასზე რომ არ ყოფილიყო ზეწოლა ქვეყნის გარედან თუ შიგნიდან. მოვლენებს დაასწრო და პრევენციული განცხადება გააკეთა, ძალიან მკაცრი ტონით, რომ ის არასოდეს არ შეიწყალებს სააკაშვილს.

***– შეწყალებული სააკაშვილი პოლიტიკურად უფრო არ დასუსტდება, ვიდრე ციხეში მოშიმშილე მესამე პრეზიდენტი?***

– მე არ ვიცი, რა მიზნით დაბრუნდა სააკაშვილი საქართველოში. თუ ზუსტი ინფორმაცია მექნებოდა ამ საკითხზე, მაშინ ამ კითხვაზე გიპასუხებდით.

# იუსტიციის მინისტრს ქონება არ გააჩნია?



რატი ბრეგაძე იუსტიციის მინისტრად მიმდინარე წლის აპრილში დაინიშნა. მანამდე, ის თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო. ქონებრივი დეკლარაციაც სწორედ აღნიშნულ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, კერძოდ, 2021 წლის 29 იანვარს აქვს შევსებული.

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, რატი ბრეგაძის სახელზე, უძრავ-მოძრავი ქონება არ ფიქსირდება.

რაც შეეხება მის ფინანსურ მდგომარეობას, დეკლარაციის შევსების მომენტში, რატი ბრეგაძე ფლობდა:

„თიბისი ბანკის“ სახელფასოზე – 5 169 ლარს, „ბაზის ბანკის“ სახელფასოზე – 200 ლარს, ხოლო „საქართველოს ბანკის“ სახელფასოზე – 2 376 ლარს.

ამასთან, რატი ბრეგაძეს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის პოსტზე, გასულ წელს, ხელფასის სახით 97 561 ლარი აქვს აღებული, ხოლო კავკასიის უნივერსიტეტში პროფესორის სტატუსით – 2001 ლარი.

# „ლელომ“ და „დროამ“ კოალიციური თანამშრომლობის დოკუმენტს მოაწერეს ხელი

გუშინ, 20 ოქტომბერს, პარტია „ლელო საქართველოსთვის“ და „დროას“ ლიდერებმა კოალიციური თანამშრომლობის დოკუმენტს ხელი მოაწერეს.

როგორც „ლელოს“ ლიდერმა მამუკა ხაზარაძემ აღნიშნა, „დროამ“ და „ლელომ“ ერთიანი ფრონტი, პლატფორმა ქვეყნის 30-წლიანი ერთპარტიული მმართველობიდან გამოსაყვანად შექმნა.

– ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელიც გამოწვეულია 30-წლიანი ერთპარტიული მმართველობიდან, ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების არ არსებობიდან, გაჩერებული ეკონომიკიდან, უმუშევრობისა და უამრავი სხვა პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა გარღვევა და ყველა ძალის კონსოლიდაცია, რომელიც ფიქრობს პროდასავლურად, ქართულად და სახელმწიფოებრივად.

ჩვენ შევიკრიბეთ „დროა“ და „ლელო“, რათა შევქმნათ ერთიანი ფრონტი, ერთიანი



პლატფორმა იმისათვის, რომ ყველა პროდასავლური ძალა, ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანი, რომელსაც უნდა ქვეყნის ამ მდგომარეობიდან გამოყვანა, შემოგვიერთდეს და ერთხელ და სამუდამოდ შევქმნათ პროდასავლური, კოალიციური მმართველობა.

ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რომ მომავალში ამ ქვეყანაში ერთ პიროვნებას და პარტიას არ ჰქონდეს ფუფუნება, გადაწყვიტოს, როგორ იცხოვროს საქართველომ. ეს არის სწორედ იმ კონსულტაციების შედეგი, რომელიც ელენე ხოშტარიასთან და მის თანაგუნდელებთან გავმართეთ და ჩვენი მიზნები და ამოცანები ემთხვევა ერთმანეთს. ჩვენ ვიქნებით პლატფორმა, რომელიც ერთპარტიულობის დასრულების და ჯანსაღი კოალიციის გარანტი იქნება. გარანტი, რომელიც არავის არ მისცემს ერთპარტიული მმართველობის უფლებას.

მე მიხარია, რომ ამ დოკუმენტს ვაწერთ ხელს, რომელიც იქნება გარდამტეხი დოკუმენტი.

10 დღეში თუ ჩვენ ყველა ერთად მივხვდებით, რომ კოალიციას, მრავალფეროვნებას არ აქვს ალტერნატივა, მაშინ ეს არის ის მომენტი, როცა ყველა ჩვენგანმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, მოვიდეს არჩევნებზე და ერთპარტიულ მმართველობას დაუპირისპიროს მრავალპარტიული მმართველობა, – განაცხადა ხაზარაძემ.

# „პოლიტიკურმა სპექტაკლებმა შეიძლება მძაფრი სახე მიიღოს“

## მამუკა გიორგაძე: „საზოგადოება იმაზე კი არ უნდა იმტვრევდეს თავს, უფსკრულში მარცხნიდან გადავარდეს თუ მარჯვნიდან, მან უკეთეს მომავალზე უნდა იფიქროს“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს, მამუკა გიორგაძეს.



***– წინა ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის დაპირისპირება იმიტირებულია. რა ხდება ახლა, როცა დაპირისპირება გაღრმავდა და გაძლიერდა?***

– ეს არის იმიტირებული და სიმულირებული დაპირისპირების გაგრძელება. რუსეთს საქართველოში უნდა მუდმივი ქაოსი. კრემლი ამ გეგმას მიჰყვება და ამისათვის იყენებს ადგილობრივ ქართველებს, მათ შორის, პოლიტიკოსებს. ქაოსისა და არეულობის დროს ვერ აშენდება სახელმწიფო. ნორმალურ სახელმწიფოს ესაჭიროება პოლიტიკური ინფრასტრუქტურა, სახელმწიფო ინსტიტუტები, სამართლიანი, დემოკრატიული გარემო. ჩვენ ამ ყველაფერს ვერ ვეღირსეთ. რუსეთის გეგმით, ქაოსი უნდა გაგრძელდეს. თუ მუდმივი ქაოსი იქნა, რუსეთის აგენტურა ყოველთვის შეასრულებს კრემლის დავალებებს, სახელმწიფო კი არ გვექნება. გვესმის შეფასებები იმის შესახებ, თითქოს საქართველოში ყველაფერს აშშ-ის ელჩი მართავს. ეს აბსურდია. თუ აშშ-ის ელჩი მართავს ქვეყანას, მაშინ საქართველოს მთელი ეკონომიკა რუსეთის ხელში როგორ აღმოჩნდა?!

***– თქვენ მიერ მოყვანილი შეფასება რუსული პროპაგანდის ნაწილია?***

– რა თქმა უნდა. საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში არიან ერთმანეთზე ვითომ გადაკიდებული პროდასავლური და პრორუსული ძალები. ორივე ფლანგი რუსეთის ინტერესს ატარებს. რუსეთი განკარგავს საქართველოს ეკონომიკის უდიდეს წილს, დაწინაურებულ პოლიტიკურ სპექტრს და სპეცსამსახურებს. საზოგადოებას, ალბათ, მობეზრდა ჩვენი სახალხო პარტიის შეგონებები ლუსტრაციაზე. ამაზე როგორ გავჩუმდეთ, როცა ლუსტრაციის კანონი აქამდე არ მიუღიათ?! რუსეთს ჰყავდა 100.000-მდე აგენტი. გარდა ამისა, ბლომად იყვნენ „კგბ“-ს ოფიციალური თანამშრომლები, ნომენკლატურა. კარგი ადამიანები იყვნენ თუ ცუდი, მნიშვნელობა არა აქვს. ისინი ოჯახებით იყვნენ და არიან მიბმული რუსეთზე. როცა მათი შვილები რუსეთის საწინააღმდეგო დროშებს აფრიალებენ, ნაკლებად დამაჯერებელია. დასავლეთი მიმდინარე სპექტაკლებზე, რუსულ გავლენებზე ინფორმირებულია. აშშ ამ იმიტაციებს და თამაშებს იტანს იმის გამო, რომ არ გააჩნია საქართველოში შიდა ბერკეტები სიტუაციის შესაცვლელად. დაპირისპირების გაღრმავებაზე მკითხეთ. როცა ორგანიზატორებს დასჭირდებათ, პოლიტიკური სპექტაკლები უფრო მძაფრ სახეს მიიღებს. დრამატიზმი იწევს, როცა თამაშში ხალხს რთავენ.

***– ეს მარტო კინკლაობა ხომ არ არის? მესამე პრეზიდენტი (დიდი ალბათობით, ჯანმრთელობა შერყეული) ციხეშია და ამის გარშემო გორდება მოვლენები.***

– ჩვენ არაფერს გვეუბნებიან იმაზე, თუ როგორ შემოაღწია სააკაშვილმა ქვეყანაში. ამაზე ჭორები გაგვიგია. ოფიციალური გამოძიება რომ მართლა დაწყებულიყო, სამ დღეში სასამართლო უნდა გამართულიყო. დარწმუნებული ვარ, ვინც სააკაშვილის შემოსვლას შეუწყო ხელი, ის მის ჯანმრთელობასაც მიხედავს. დისიდენტობაში ციხე გამომივლია. ჩემს თავზე გამოვცადე, როგორ ზეწოლას ახდენენ პატიმრებზე. სააკაშვილი მკაცრ პირობებში არ იმყოფება. შეიძლება ითქვას, სასათბურე პირობებშია. უფლებების დამცველებიც უხვად ჰყავს. საზოგადოებამ ამ ყველაფრიდან დასკვნა უნდა გამოიტანოს. ხალხი უნდა გამოფხიზლდეს და არ ჩაერიოს პოლიტიკურ სპექტაკლებში. პოლიტიკურ ველზე ვარსებობთ ისეთი ძალებიც, ვინც ამათთან არ ვართ, ვისაც სახელმწიფოს შექმნა და ქაოსიდან თავის დაღწევა გვინდა. თუ დააკვირდებით, როგორი ზომიერი და გაწონასწორებულია დასავლეთის რეაქცია. დასავლეთის რეაქციაში არის ხაზგასმა პატიმრის უფლებების დაცვაზე. ესეც ადასტურებს, რომ „ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას შორის დაპირისპირება რუსული თამაშია. აშშ თავისას ცდილობს, მაგრამ თუ დაინახა, რომ საქართველოში არაფრის შეცვლა არ უნდათ, ვენებს ისიც არ გადაიჭრის.

***– აშშ-ის თავდაცვის მდივნის, ლოიდ ოსტინის საქართველოში ვიზიტი ევროპული ტურნეს ფარგლებში იმის მაჩვენებელია, რომ აშშ-ის ინტერესები საქართველოს (მთლიანად შავი ზღვის რეგიონის) მიმართ მზარდია. ეს პოლიტიკურ პროცესებზეც ხომ აისახება?***

– აშშ-ისა და ნატოს ღიად გაცხადებული პოლიტიკა მდგომარეობს რუსეთის აგრესიის შეკავებაში. რუსეთი ახორციელებს აგრესიას საქართველოსა და უკრაინის მიმართ. ამის გამო აშშ გააქტიურდა შავი ზღვის რეგიონში. ოსტინმა გამოთქვა მხარდაჭერა საქართველოს მიმართ და მზადყოფნა უსაფრთხოების დაცვაში მონაწილეობაზე. მისი განცხადებებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რაღაც საკითხებზე ვაშინგტონი თვალს დახუჭავს. თუ საქართველომ თავი აიწყვიტა და თანამშრომლობაც არ ისურვა, მაშინ საქართველოს პასუხს მოსთხოვენ. მოსწონს აშშ ვინმეს თუ არა, ფაქტია, რომ ეს სახელმწიფო რომ არა, კატასტროფულ მდგომარეობაში ვიქნებოდით. ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას, ქვეყნისა და პირად უსაფრთხოებას ამერიკა იცავს. წარმოიდგინეთ, სისხლის როგორ გუბეებს დააყენებდა სააკაშვილი, რომ არა აშშ. უსაფრთხოება და თანამშრომლობა ამ სფეროში ვაქცინა არ არის, ძალით გაგიკეთონ. ჯერ ვაქცინაციაც არ არის სავალდებულო. საქართველოსაც უნდა უნდოდეს პარტნიორობა.

***– მსოფლიოში აშშ-ის პოზიციას უმთავრესად ითვალისწინებენ.***

– საბჭოთა კავშირშიც კი უწევდნენ ანგარიშს ამერიკის აზრს. ბრეჟნევის დროს ალექსი ინაური იყო აქ უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელი. დისიდენტმა მარიამ ბაღდავაძემ 32 დღე იშიმშილა. რეიგანის ჩარევის შემდეგ სპეცსამსახურები იძულებულ გახდნენ, დათმობაზე წასულიყვნენ. ვაშინგტონის გამო საბჭოთა ხელისუფლებიც და მათი მემკვიდრეებიც უფრო ლოიალურები ხდებოდნენ. ბელარუსის დიქტატორმა ლუკაშენკომ რამდენიმე წლის წინ შეარბილა პოლიტიკა და მინსკში, ამის შედეგად, დასავლური ინვესტიციები წამოვიდა. რუსეთს ეს არ მოეწონა და აგრძელებს ზეწოლას ბელარუსზე. პუტინს მინსკთან მთლად ერთიანი სახელმწიფო უნდა. ბელარუსში ოპოზიციის უმრავლესობა რუსეთიდან დასმული ხალხია. დაახლოებით იმავეს აკეთებს კრემლი საქართველოსა და უკრაინაში. ორივგან იქმნება ქაოსი, ნადგურდება ეკონომიკა, ვერ ყალიბდება სახელმწიფო ინსტიტუტები.

***– ითვლება, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების უმრავლესობა სააკაშვილმა ჩამოაყალიბა.***

– სახელმწიფო ინსტიტუტი თანამედროვე ლამაზ შენობას არ ნიშნავს. სახელმწიფო ინსტიტუტებია სასამართლო, პარლამენტი, მთავრობა, თვითმმართველობა, დამოუკიდებელი ბიზნესი. სააკაშვილმა აქედან რომელი შექმნა? არც მას და არც „ქართულ ოცნებას“ არ შეუქმნიათ ინსტიტუტები, ასევე პოლიტიკური ინფრასტრუქტურა. ენგურჰესზე დიდი ობიექტი საქართველოში 40 წელიწადია არ აშენებულა. საბჭოთა კავშირის დროს აიგო ენგურჰესი, სპორტის სასახლე და სხვა. მარტო ნაგებობებში რომ ყოფილიყო საქმე, საბჭოთა წყობას არ დავუპირისპირდებოდით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რომ იგივე დარჩა, ესაა უბედურება. ნამდვილი სახელმწიფო ინსტიტუტები და პოლიტიკური ინფრასტრუქტურა (დამოუკიდებელი პარტიები) იმისთვის გვჭირდება, რომ ახალი ენგურჰესები და სპორტის სასახლეები ავაშენოთ.

***– უახლოეს მომავალში ადგილობრივი არჩევნების მეორე ტური უნდა გაიმართოს.***

– დაგვაყენეს უფსკრულთან და გვაკეთებინებენ არჩევანს. ხალხმა წინ უნდა გაიხედოს. საზოგადოება იმაზე კი არ უნდა იმტვრევდეს თავს, უფსკრულში მარცხნიდან გადავარდეს თუ მარჯვნიდან, მან უკეთეს მომავალზე უნდა იფიქროს. იმ პარტიებმა კი, რომლებიც რუსულ თამაშებში არ ვყოფილვართ ჩაბმული, ადამიანებს პერსპექტივა და იმედი უნდა გავუჩინოთ. მდგომარეობა უიმედო არ არის. საქართველოს ექნება მომავალი, თუ ჩვენ მოვინდომებთ. სახელმწიფო ჩვენი ასაშენებელია. ამას სხვები ვერ გააკეთებენ.

# საქართველოში აივ ინფიცირების 419 ახალი შემთხვევა გამოვლინდა




ინფექციური პათოლოგიისა და შიდსის ცენტრის ინფორმაციით, მიმდინარე წელს საქართველოში აივ ინფიცირების 419 ახალი შემთხვევა გამოვლინდა

ინფექციური პათოლოგიისა და შიდსის ცენტრის ინფორმაციით, მიმდინარე წლის 20 ოქტომბრის მონაცემებით, საქართველოში აივ ინფიცირების 419 ახალი შემთხვევა გამოვლინდა. შარშან შესაბამის პერიოდში 446 ახალი შემთხვევა იქნა დაფიქსირებული.

მათივე ცნობით, სულ ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში რეგისტრირებულია 9051 აივ ინფიცირებული პირი. მათ შორის 6766 – მამაკაცია და 2285 – ქალი. პაციენტთა უმრავლესობა 29-დან 39 წლამდეა. შიდსი 4441 პაციენტს განუვითარდა. 1882 გარდაიცვალა.

„20 ოქტომბრის მონაცემებით აივ მკურნალობას იტარებს 5673 პაციენტი, მათ შორის 42 ბავშვია. რეგისტრირებულ შემთხვევათა განაწილება გადაცემის გზების მიხედვით ასეთია: 35.2 % (3185) – ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელია; 50.1 % (4533) – დაინფიცირდა ჰეტეროსექსუალური კონტაქტის შედეგად; 12.5 % (1129) – მამაკაცები, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცთან; 1.2 % (113) – დაინფიცირდა ვერტიკალური გადაცემის გზით; 0.5 % (41) – სისხლის რეციპიენტია; 0.5 % (50) – გადაცემის გზა დაუდგენელია;

აივ ინფიცირების ყველაზე მეტი შემთხვევა რეგისტრირებულია თბილისში (3389 შემთხვევა, მათგან 87 უცხოეთის მოქალაქეა, 2 დაუდგენელი); სამეგრელოში 1216; შემდეგ იმერეთში 1086; აჭარაში 1042; აფხაზეთში (535); კახეთში (452) ქვემო ქართლში (518); შიდა ქართლში (342); გურიაში (192); სამცხე-ჯავახეთში (124) და ა.შ.

სულ საქართველოში გამოვლენილია 120 აივ ინფიცირებული ბავშვი. მათ შორის 72 – ვაჟი, 48 – გოგონა. 30 გარდაიცვალა. 3 გავიდა ქვეყნიდან“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

# საზოგადოების რა ნაწილისთვის იქნება გრიპის ვაქცინა უფასო?

## ხათუნა ზახაშვილი განმარტავს, საზოგადოების რა ნაწილისთვის იქნება გრიპის ვაქცინა უფასო

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი ხათუნა ზახაშვილი განმარტავს, საზოგადოების რა ნაწილისთვის იქნება გრიპის ვაქცინა უფასო.

როგორც ზახაშვილი აღნიშნავს, წელს სახელმწიფომ გრიპის 200 000 დოზა ვაქცინა შეისყიდა. მისივე განცხადებით, დღეიდან გრიპის ვაქცინა ყველა ადამიანისთვის ხელმისაწვდომია.

„მიმდინარე სეზონისთვის სახელმწიფომ გრიპის 4-ვალენტიანი 200 000 დოზა ვაქცინა შეისყიდა, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის და მათ ეს ვაქცინა წელს, ტრადიციულად, უფასოდ მიეწოდებათ. ეს ჯგუფებია: ორსულები, დიალეზზე მყოფი ადამიანები, სამედიცინო პერსონალი, მოხუცთა სახლებისა და ბავშვთა სახლების ბინადრები და მათი მომვლელი პერსონალი, სკოლის პედაგოგები, საბავშვო ბაღის აღმზრდელები, ასევე ვეტერინარიის სფეროში დასაქმებულები და 60 წელს ზევით ასაკის ნებისმიერი ადამიანი.

წელს ამ ადამიანებისთვის ვაქცინა იქნება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული. მათ შეუძლიათ ყველა იმ პუნქტს მიმართონ, სადაც გრიპის ვაქცინებია განლაგებული და მიიღონ ეს მომსახურება“– განაცხადა ზახაშვილმა.




მისივე თქმით, გრიპის ვაქცინა ყველა იმ პოლიკლინიკაშია ხელმისაწვდომი, სადაც ზოგადად, ვაქცინაცია ტარდება.

„გრიპის ვაქცინაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერ პოლიკლინიკაში, რომელიც სტანდარტულად ატარებს ვაქცინას. ხშირ შემთხვევაში ეს განსხვავდება კოვიდ ვაქცინაციის ცენტრებისგან და ვიმედოვნებთ, რომ სპეციფიკური რიგებისგან სისტემა დაცული იქნება“– განაცხადა ხათუნა ზახაშვილმა.

# თათა დვალიშვილი: „გიორგი ჩანდელმა უცბად აცრა ბავშვი, ძალიან დავიძაბე, გავვარდი რეგისტრატურაში“

სამედიცინო პლატფორმა „მედ სითის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი თათა დვალიშვილი იმ მოქალაქეებს შორის არის, რომლებიც ირწმუნებიან, რომ გოგელიას კლინიკაში გრიპის ვაქცინის ნაცვლად, დღეს ცე ვიტამინი მიიღეს – დვალიშვილის თქმით, დაზარალებული მისი 4 წლის შვილია.

– ერთი კვირით ადრე დავჯავშნე ადგილი. გავარკვიე ყველაფერი – საათი, დრო, ფასი და მივედი დედასთან და ჩემი 4 წლის შვილთან ერთად. როდესაც მივედით და თანხა გადავიხადეთ, შევიყვანე ბავშვი ასაცრელად, მოვითხოვე, რომ ჩემი შვილის გაკეთებული ვაქცინის ყუთი, ან რაიმე დამადასტურებელი, რომ ვაქცინა ჩატარდა, გადმოეცათ. ეს მოვითხოვე, სანამ ვაქცინა გაუკეთდებოდა, მაგრამ ე.წ. იმუნოლოგმა გიორგი ჩანდელმა მითხრა, რომ ამ ეტაპზე არ აქვს კოლოფი, რითიც შეიძლება რომ დაადასტურონ, მაგრამ აქვს რაღაც პლასტმასის, მოღუნული, სასაცილო შპრიცი, რომელზეც მარტივად მიხვდები, რომ საეჭვო ფაქტთან არის საქმე.

ამის შემდეგ, ისევ მოვითხოვე, რომ რაიმე საბუთი მაინც ეჩვენებინათ, რომ ნამდვილად შეიძინეს ფრანგული ვაქცინა, ამ გარკვევაში მე ამოვიღე ტელეფონი, რომ დამერეკა ჩემი მეგობარი იმუნოლოგებისთვის, რომ მეკითხა აზრი, ბავშვს უცებ გაუკეთა ვაქცინა ამ გიორგიმ. ბავშვს რომ ხელი არ აექნია და პრობლემა არ შეექმნა, უცებ, უპრობლემოდ ავცერიო – მითხრა. რა თქმა უნდა, ეს არ მომეწონა, ძალიან დავიძაბე, გამოვვარდი რეგისტრატურაში, სადაც მაწყნარებდნენ და მეუბნებოდნენ, რომ ეს ნამდვილად გრიპის ვაქცინა იყო და არანაირ თაღლითურ დაჯგუფებასთან არ მქონდა საქმე.

საბოლოო ჯამში, გავარკვიეთ. ამ ე.წ. იმუნოლოგის ოთახში შევედით, ძალიან დაძაბულად და მიწოლით ვესაუბრე და აღიარა, რომ ეს იყო ცე ვიტამინის ამპულა, – განაცხადა თათა დვალიშვილმა.

აღნიშნული გაურკვეველი პრეპარატით 35 ადამიანი აიცრა.

# საქართველოს მასშტაბით სწავლების დისტანციურ რეჟიმში 100-ზე მეტი სკოლაა გადასული

საქართველოს მასშტაბით 100-ზე მეტი სკოლა სწავლების დისტანციურ რეჟიმშია გადასული. ამის შესახებ განათლების და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ნუნუ მიცკევიჩმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე ინფორმაციით, დისტანციურ რეჟიმში 600-ზე მეტი კლასი სწავლობს.

„სტატისტიკა ახლდება და ყოველ პარასკევს არის განახლებული ინფორმაცია. ამ დროის მონაცემებით, 100-ზე მეტი სკოლა არის გადასული დისტანციურ რეჟიმში და 600-ზე მეტი კლასი. მართვა გრძელდება წერტილოვნად“ – განაცხადა მიცკევიჩმა.



რაც შეეხება სკოლის პერსონალის ვაქცინაციის პროცესს, როგორც მიცკევიჩმა აღნიშნა, დღეს ვაქცინაციის სავალდებულოობა საგანმანათლებლო სივრცეში არ განიხილება.

„როგორც იცით, სავალდებულოა ვაქცინაცია უმაღლესი განათლების იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ჯანდაცვის პროგრამებზე სწავლობენ და უშუალო შეხებაში არიან პაციენტთან. ანუ მხოლოდ კონკრეტული სეგმენტისთვის არის სავალდებულო. დანარჩენ, არც ერთ საფეხურზე – ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს საფეხურზე დღეისთვის ვაქცინაცია სავალდებულო არ არის. რაც შეეხება მასწავლებლების აცრის მაჩვენებელს, სტატისტიკა ზრდადია, ის ნამდვილად არის დამაკმაყოფილებელ ნიშნულამდე და კიდევ გაიზრდება“ – განაცხადა მიცკევიჩმა.

# ანასტასია შატალოვას მკვლელობაში ბრალდებული ბექა ლატარია დაკავებისას ფანჯრიდან ხტებოდა

შსს ანასტასია შატალოვას მკვლელობის საქმეზე სამი პირის დაკავების თაობაზე ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს.

უწყების ცნობით, განზრახ მკვლელობის ფაქტზე დაკავებულია 3 პირი.

ბექა ლატარიას ბრალი განზრახ მკვლელობის, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა-მოხმარების მუხლით აქვს წარდგენილი.

ბიძინა ხასიას გამოძიება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვას, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევასა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა-შენახვას ედავება.

ლევან რაჯავს გამოძიება პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას და ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვას ედავება.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თბილისში, 18 ოქტომბერს მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტის გამოძიების ფარგლებში, სამი პირი – 1988 წელს დაბადებული ბ.ლ., 1983 წელს დაბადებული ბ.ხ. და 1977 წელს დაბადებული ლ.რ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბ.ლ.-მ მიმდინარე წლის 18 ოქტომბერს თბილისში, გაზაფხულის ქუჩაზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეს, 1994 წელს დაბადებულ, ა.შ.-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე ესროლა, მიღებული დაზიანებების შედეგად ა.შ. ადგილზე გარდაიცვალა. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ბ.ლ.-მ შემთხვევის ადგილი ბ.ხ.-ს მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილით დატოვა, რა დროსაც ბ.ხ.-ს მის მიერ ჩადენილი მკვლელობის შესახებ მოუყვა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ბინის ჩხრეკის დაწყებამდე ბ.ლ. მისსავე საცხოვრებელ ბინაში, ფანჯრიდან გადახტომის მცდელობის დროს დააკავეს. პოლიციამ მისი პირადი ჩხრეკისას, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღო.

სამართალდამცველებმა, განზრახ მკვლელობის ფაქტის გამოძიების ფარგლებში, დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით, ბ.ხ.-ს მეგობრის, ლ.რ.-ის ბინის ჩხრეკა განახორციელეს. აღმოჩნდა, რომ ბინაში იმალებოდა ბ.ხ, რომელმაც საგამოძიებო ღონისძიების ჩატარების დროს ხელყუმბარა საბრძოლო მოქმედებაში მოიყვანა, ხოლო შემდეგ აივნიდან კორპუსის ქვემოთ, პერიმეტრზე მყოფი სამართალდამცველების მიმართულებით ისროლა, თავად კი, მიმალვის მიზნით, სხვა საცხოვრებელი სახლის აივანზე გადახტა. პოლიციამ ბ.ხ. მიმალვის მცდელობის დროს, მეზობელი საცხოვრებელი ბინის აივანზე დააკავა და მისი პირადი ჩხრეკის შედეგად კიდევ ერთი ხელყუმბარა ამოიღო. ბ.ხ.-ს მიერ სამართალდამცველების მისამართით ნასროლი ხელყუმბარა, გამნაღმველებმა გააუვნებელყვეს.



ანასტასია შატალოვა

პოლიციის თანამშრომლებს ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწია და ბ.ხ.-ს დაკავებაში სამართალდამცველებს ხელი შეუშალა ბინის მეპატრონე – ლ.რ.-მ. პოლიციელების მიმართ გაწეული წინააღმდეგობისთვის იგი ადგილზე იქნა დაკავებული. მისი პირადი ჩხრეკისას ამოღებულია, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 19-353 პრიმა, 353-ე, 236-ე, 260-ე და 375-ე მუხლებით მიმდინარეობს“ – აღნიშნულია შსს-ს ინფორმაციაში.

პროკურატურამ ანასტასია შატალოვას განზრახ მკვლელობისთვის, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა, შენახვა ტარებისთვის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვისთვის ბექა ლატარიას ბრალი წარუდგინა.

პროკურატურის ინფორმაციით, ასევე, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში – პოლიციელების მიმართ წინააღმდეგობის გაწევის და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვისთვის ლევან რაჯავს, ხოლო პოლიციელების სიცოცხლის მოსპობის მცდელობისთვის, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვისთვის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარებისთვის ბიძინა ხასიას ბრალი წარუდგინა.

გუშინ, 20 ოქტომბერს, სამივე დაკავებულს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.

ბიძინა ხასიას მეუღლის, ნატალია ბართაიას, განცხადებით, დაკავებისას სამართალდამცავებმა ხასია აწამეს.

ბარქაიას თქმით, მისი მეუღლე უდანაშაულოა.

– ყველაფერი ტყუილია. აწამეს, ხალხნო, არ უცემიათ, აწამეს, პროკურორები რასაც უნდა, იმას ამბობენ და მორჩა. 17-20 წელი რატომ უნდა იჯდეს ჩემი ქმარი, როცა ის დამნაშავე არ არის?

ჩემ ქმარს მე-8 სართულზე რომ აწამებდნენ, მე-5 სართულზე მესმოდა, ეს ნორმალურია? ბიძინა ლოგინის ქვეშ შეიძლება იმალებოდესო, 4 წლის ბავშვს ეძინა ლოგინზე, პოლიციელმა ბავშვს ხელი სტაცა და დივანზე დააგდო, ეს ნორმალურია ხალხნო? დღეს რაც პროკურატურამ გააკეთა, იმას ვაპროტესტებ, – განაცხადა ბარქაიამ.

* * *

გუშინვე კომენტარი გააკეთა საქმის პროკურორმა თამარ იაკობიძემ.

– ვადასტურებ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ყველა მიმართულებით, ყველა ვერსიაზე მუშაობს, – განაცხადა მან.

როგორც პროკურორი აღნიშნავს, ტერიტორიიდან, სადაც დანაშაული მოხდა, ვიდეო ჩანაწერები ამოღებულია, თუმცა განმარტავს, რომ იმ პირების ვინაობა, ვინც ჩანაწერზე ჩანს, ექსპერტიზის შემდეგ დადგინდება.

– ამ ეტაპზე საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით ამოღებულია როგორც კონკრეტულ ტერიტორიებზე ვიდეო ჩანაწერები, დაკავებული პირების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ასევე ფარული საგამოძიებო მოქმედებები, რაც დღეს სასამართლო პროცესზე იქნა წარდგენილი.

ტერიტორია, სადაც დანაშაული მოხდა, ვიდეო სათვალთვალო კამერებითაა აღჭურვილი და გიდასტურებთ, რომ გარკვეული კამერები ბრალდების მხარეს ამოღებული აქვს, – განაცხადა თამარ იაკობიძემ.

მკვლელობის მოტივზე გამოძიება მუშაობს. ხოლო კითხვაზე, ფიგურირებს თუ არა მკვლელობის საქმეში ქალი, იაკობიძე ამბობს, რომ „ამ ეტაპზე საქმეში კონკრეტული ქალი არ ფიგურირებს“.

რაც შეეხება მკვლელობის საქმეში არსებულ ნივთმტკიცებებს, პროკურორის ინფორმაციით, ამოღებულია ხელყუმბარები და ჩანთა, რომელშიც „დაზარალებულის პირადი ნივთებია მოთავსებული“.

– დანაშაულის იარაღი საქმეში არ დევს, მაგრამ გასროლილი მასრები ამოღებულია, – განაცხადა თამარ იაკობიძემ.

## „ზურაბ ბერიძე დამემუქრა, მოგკლავ, კისერს მოგჭრი და ფანჯრიდან გადაგაგდებო“ – რას წერდა შატალოვა ივნისში

„ტვ პირველმა“ თბილისში მოკლული ანასტასია შატალოვას მიერ სამართალდამცავებისთვის მიცემული ჩვენება მოიპოვა.

მიმდინარე წლის ივნისში მიცემულ ჩვენებაში ქალი ბათუმის ყოფილი ვიცე-მერის, ზურაბ ბერიძის მხრიდან ლიკვიდაციით მუქარაზე საუბრობს.

შატალოვა პოლიციელებს უყვებოდა, რომ ზურაბ ბერიძე მას ე.წ. ქილერის დაქირავებით და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა.

„დამემუქრა, ავტოსკოლისთვის ფულს არ მოგცემ, მაგ ფულით ქილერს დავიქირავებ და მოვაკვლევინებ შენ თავსო. ზურაბ ბერიძე ოთახში შემომყვა, დამიწყო დედის გინება და ლანძღვა, „შე მეძავო და ნარკომანოო!“ დამემუქრა, მოგკლავ, კისერს მოგჭრი და ფანჯრიდან გადავაგდებო. შენს გვამს არხში ნახავენო“ – წერია შატალოვას მიერ პოლიციისთვის მიცემულ ჩვენებაში.

ჩვენების მიხედვით, ზურაბ ბერიძე ქალს ლიკვიდაციით 2021 წლის 4 ივნისს დაემუქრა.

მოკლული ქალის ადვოკატის პაატა შავაძის ინფორმაციით, ამ ეტაპზე შესაბამისი სამსახურები მუშაობენ შატალოვას მცირეწლოვან შვილზე მეურვეობის განკარგვის საკითხზე, უფლებადამცველი მოუწოდებს შესაბამის სამსახურებს, რომ ბავშვი მამას მეურვეობაში არ გადასცენ, ვიდრე მომხდარზე გამოძიება არ დასრულდება.

პაატა შავაძე ასევე მოუწოდებს საგამოძიებო ორგანოებს, დაინტერესდნენ ანასტასია შატალოვას მიერ მიცემული ამ კონკრეტული ჩვენებით.

დაახლოებით 1 წლის წინ შატალოვა ამბობდა, რომ ბერიძე მას შვილის ნახვის უფლებას არ აძლევდა, რის გამოც მის წინააღმდეგ სამართლებრივი დავა დაიწყო.

## სააკაშვილის საქართველოში შემოსვლის საქმეზე ტრაილერის მძღოლი გიორგი ნარიმანიძე დააკავეს

მიხეილ სააკაშვილის საქართველოში შემოსვლის ფაქტზე ტრაილერის მძღოლი გიორგი ნარიმანიძე დააკავეს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას მისმა ადვოკატმა განაცხადა.

გარდა ამისა, როგორც სააგენტოსთვის არაოფიციალურად გახდა ცნობილი, გიორგი ნარიმანიძე სააკაშვილის საქართველოში შემოსვლის საქმეზე დაკავებულ ელგუჯა ცომაიასთან მუშაობდა. ამასთან, „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, ტრაილერის მძღოლის დაკავება შიდა ქართლში, კერძოდ, კასპის რაიონში მოხდა.

– ახლა მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ ჩემი აცილების საკითხი დააყენეს. ბრალდებულებზე ზეწოლას ახდენენ და გვიზღუდავენ საქმიანობას. არ გვეძლევა საშუალება სრულად განვახორციელოთ ბრალდებულების დაცვა. ტრაილერის რიგითი მძღოლია. სხვა ბრალდებულებთან არანაირ კავშირშია. ბრალის წარდგენა ჯერ არ მომხდარა, – აღნიშნა გიორგი ნარიმანიძის ადვოკატმა.

შსს-მ აღნიშნულ ფაქტზე განცხადება გაავრცელა.

„პოლიციამ, მიხეილ სააკაშვილის საქმის გამოძიების ფარგლებში, დანაშაულის დაფარვის ბრალდებით კიდევ ერთი პირი დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მიხეილ სააკაშვილის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ბრალდებულის სახით ერთი პირი – 1989 წელს დაბადებული გ.ნ. დააკავა.

სამართალდამცველებმა საქმეზე ამავე ბრალდებით უკვე სამი პირი დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით მიმდინარეობს, რაც მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვას გულისხმობს.

დანაშაული 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მსჯავრდებული, უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილის მიერ საქართველოს საზღვრის უკანონო გადაკვეთის, ორგანიზებული ჯგუფის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანისა და მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, 344-ე პრიმა მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 375-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს. აქტიურ რეჟიმში ტარდება ყველა შესაბამისი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედება“ – ნათქვამია განცხადებაში.

## შს მინისტრის მოადგილე ევროპის საბჭოს პროექტის მმართველი კომიტეტის შეხვედრას დაესწრო

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ, მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს პროექტის – „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ – მმართველი კომიტეტის მეშვიდე შეხვედრაში.



შეხვედრის მონაწილეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა პარტნიორი უწყებების მიერ პროექტის ფარგლებში, ბოლო 6 თვის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები და მიღწეული შედეგები განიხილეს.

მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა, განსაკუთრებით ბოლო წლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის პოლიტიკის დონეზე იქცა პრიორიტეტულ მიმართულებად, რაზეც მეტყველებს სამინისტროს მიერ განხორციელებული არაერთი აქტივობა.

ალექსანდრე დარახველიძემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სწავლებების საკითხზე. მან აღნიშნა, რომ ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, შინაგან საქმეთა სამინისტროში სამართალდამცველთა გადამზადების პროცესი შეუქცევადია – არაერთი ტრენინგი და სწავლება ჩატარდა ტერიტორიული და სტრუქტურული ერთეულების რიგით და მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი პირებისათვის. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თქმით, კასკადური გადამზადების პროცესი დღესაც აქტიურად მიმდინარეობს. მან ასევე ისაუბრა მიმდინარე წელს ევროპის საბჭოს მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტებზე, მნიშვნელოვანი აქტივობები და მიღწეული შედეგები შეაჯამა.

ალექსანდრე დარახველიძემ მადლობა გადაუხადა ევროპის საბჭოს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში სამინისტროსთვის აღმოჩენილი მხარდაჭერისთვის.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის გაგრძელებისთვის მზაობა გამოთქვეს.

აღნიშნული პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა პარტნიორ უწყებებს შორის მჭიდრო თანამშრომლობით, 2018 წლიდან ხორციელდება. პროექტის მიზანია ანტიდისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ გამოცდილების გაზიარება, ცნობიერების ამაღლება და საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპის სტანდარტებთან.

## იოსებ ხახალეიშვილი ნიკა გვარამიას და ეკა გაგუას უჩივის

### ის მთავარი არხისგან 55.555 ლარს ითხოვს

– იურისტებთან ერთად მოვამზადე და შემაქვს სარჩელი ტელეკომპანია „მთავარის“, ტელეკომპანია „მთავარის“ გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას და ტელეკომპანია „მთავარის“ ჟურნალისტის ეკა გაგუას წინააღმდეგ პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის გავრცელებისთვის. ჩემი მოთხოვნაა, იგივე ტელევიზიის მიერ საჯაროდ უარყოფილ იქნას ცილისმწამებლური ინფორმაცია და იმავე მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ მორალური ზიანის ანაზღაურება 55 555 ლარის ოდენობით. ეს განცხადება გუშინ, 20 ოქტომბერს, ქუთაისის მერობის კანდიდატმა „ქართული ოცნებიდან“ იოსებ ხახალეიშვილმა გააკეთა.

მისი თქმით, საქმის მოგების შემთხვევაში, თანხა გადაირიცხება საქველმოქმედო ფონდში „ქუთაისი“, რომლის ძირითადი საქმიანობა მძიმე კატეგორიის დაავადებულების დახმარებაა.

– მაქვს ინფორმაცია, რომ, ჩემ მსგავსად, „ქართული ოცნების“ სხვა წევრებიც აპირებენ სამართლებრივ ბრძოლას ამ ტოტალური ტყუილების და შეურაცხყოფების წინააღმდეგ და პირობას ვდებ, ვიბრძოლებ ყველა – ადგილობრივ/ეროვნულ, თუ ნებისმიერ სამართლებრივ ინსტანციაში, რომ საბოლოოდ საქართველოში დასრულდეს წარსულის ეს ერთხელ უკვე უარყოფილი ტრადიცია – ცილისმწამებლური მითების შეთხზვა განსხვავებული პოლიტიკური გემოვნებისთვის! ვიბრძოლებ იმისთვის, რომ არა მხოლოდ ჩემი, თქვენი ღირსებაც არ შეილახოს არასდროს ასე ცილისწამებით! გამარჯვება მივიყვანოთ ბოლომდე! – დასძინა იოსებ ხახალეიშვილმა. მერობის კანდიდატმა სარჩელს ხელი ჟურნალისტების თანდასწრებით მოაწერა.

## შსს-ში მასშტაბური გადაიარაღების პროცესი დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე ათას პოლიციელს გლოკის სისტემის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი – პისტოლეტები გადაეცემა. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამსახურებრივ-საშტატო იარაღის გადაცემის პირველი ეტაპი განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ბაზაზე გაიმართა.



ღონისძიებას შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე – შალვა ბედოიძე, მინისტრის მოადგილეები – იოსებ ჭელიძე და გიორგი ბუთხუზი დაესწრნენ.

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლების შემდეგ, უახლოეს დღეებში, აღნიშნული ტიპის სამსახურებრივ-საშტატო იარაღით საპატრულო პოლიციის და თბილისის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლები აღიჭურვებიან.

სამინისტროში შეიარაღებისა და სპეციალური საშუალებების ერთიანი სტანდარტის დანერგვის მიზნით მიმდინარეობს საპოლიციო აღჭურვილობის განახლების მასშტაბური პროცესი. ბოლო წლების განმავლობაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ეს არის ყველაზე მასშტაბური გადაიარაღება და თანამშრომელთა თანამედროვე, უმაღლესი სტანდარტების შესაბამისი, სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია თანამშრომლების როგორც სამუშაო პირობების, ასევე, მათი სპეციალური აღჭურვილობის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გაუმჯობესება.

## მასობრივი ჩხუბი გორში

### დაჭრილია 1 პირი

გუშინ, 20 ოქტომბერს, გორში, ფარნავაზის ქუჩაზე 6 ახალგაზრდას შორის მომხდარი დაპირისპირებისას 1 ახალგაზრდა დაიჭრა. შემთხვევის ადგილზე ნაპოვნია დანა.

„მთავარი არხის“ ინფორმაციით, 5 ადგილობრივი თბილისიდან ჩასულ პირს ქვებითაც დაუპირისპირდა. ის გორმედშია გადაყვანილი და ჯერჯერობით უცნობია რა სახის დაზიანებები აქვს.

ჩხუბის ხუთივე მონაწილე დაკავებულია და დაკითხვაზეა გადაყვანილი.

## პუტინმა ერთკვირიანი არასამუშაო რეჟიმი გამოაცხადა

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი დაეთანხმა მთავრობის შეთავაზებას და კორონავირუსის შემთხვევების ზრდის გამო, ქვეყანაში ერთკვირიანი არასამუშაო რეჟიმი გამოაცხადა.

უქმე დღეები 30 ოქტომბერს დაიწყება და 7 ნოემბრამდე გაგრძელდება.

ამასთან, დასაქმებულები აღნიშნულ პერიოდში ხელფასს ჩვეულ რეჟიმში მიიღებენ.

ვლადიმერ პუტინის განმარტებით, ქვეყნის ცალკეულ რეგიონში უქმე დღეების დაწყებისა და დასრულების დრო, შესაძლოა, შეიცვალოს.



– ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა თითოეულ რეგიონში განსხვავებულია, ამის გათვალისწინებით, რეგიონების ხელმძღვანელებს ეძლევათ უფლება, მიიღონ დამატებითი ზომები, – აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა.

ბოლო პერიოდში რუსეთში კორონავირუსით ინფიცირებისა და გარდაცვალების შემთხვევები მნიშვნელოვნად იზრდება. ქვეყანაში 19 ოქტომბერს ფატალური შემთხვევების მორიგი ანტირეკორდი – გარდაცვალების 1.028 შემთხვევა – დაფიქსირდა, კორონავირუსი კიდევ 34.073 ადამიანს დაუდასტურდა.

## გფბ-მ აშშ-ში დერიპასკას სახლებში ჩხრეკა ჩაატარა

აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს (გფბ) თანამშრომლებმა ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში რუსი ოლიგარქის, ოლეგ დერიპასკას სახლებში ჩხრეკა ჩაატარეს.

ფედერალური ბიუროს პრესსპიკერმა დაადასტურა, რომ სააგენტო ახორციელებდა სასამართლოს მიერ ნებადართულ სამართალდამცავ ქმედებას სახლში, რომელიც, მედიის ინფორმაციით, რუს ოლიგარქს ეკუთვნის. იგივე განცხადება გააკეთა ფედერალური ბიუროს ნიუ-იორკის ოფისის პრესსპიკერმა, თუმცა დეტალებზე არცერთ მათგანს უსაუბრია.

თვითმხილველების განცხადებით, გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლებმა სახლებიდან რამდენიმე ყუთი გამოიტანეს.

ვაშინგტონმა 53 წლის ბიზნესმენს, ოლეგ დერიპასკას, სხვა გავლენიან რუსებთან ერთად, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან კავშირების გამო, 2018 წელს სანქციები დაუწესა.

სენატის ანგარიშის თანახმად, რომელიც 2020 წლის აგვისტოში გამოქვეყნდა, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა აშშ-ის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ დემოკრატიულ პარტიასთან დაკავშირებული ქსელის და ანგარიშების გატეხვისა და ჰილარი კლინტონის შესახებ საზიანო ინფორმაციის გაჟონვის განკარგულება გასცა. ამავე ანგარიშის თანახმად, დერიპასკას ახლო კონტაქტი ჰქონდა დონალდ ტრამპის საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელ პოლ მანაფორტთან. კერძოდ, 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დროს მანაფორტი მას არჩევნებთან დაკავშირებით ინფორმაციას აწვდიდა.

ბიზნესმენი ამ ფაქტს უარყოფს.

## დამასკოში ავტობუსი ააფეთქეს 13 სამხედრო დაიღუპა

სირიის დედაქალაქ დამასკოში სამხედრო ავტობუსზე მომხდარი თავდასხმის შედეგად სულ მცირე 13 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, 3 კი დაშავდა.



ორი ასაფეთქებელი მოწყობილობა მაშინ აფეთქდა, როდესაც ავტობუსი ჰაფეზ ასადის ხიდზე მოძრაობდა.

გაეროს მონაცემებით, სირიაში 10 წლის წინ დაწყებულ სამოქალაქო ომს სულ მცირე 350.000 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.



## მამაკაცმა დიდი თეთრი ზვიგენის თავდასხმა გადაიტანა

ამერიკელმა სერფერმა მასზე სამმეტრიანი დიდი თეთრი ზვიგენის კალიფორნიის შტატის სანაპიროსთან თავდასხმის შემთხვევა აღწერა.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც 38 წლის ერიკ სტეინლი წყალში სერფინგით იმყოფებოდა და ტალღას ელოდა.

– უცბად ვიგრძენი, რომ რაღაც მძიმე მექაჩებოდა და თითქოს ფეხზე ხაფანგი ჩაიკეტა, – იხსენებს მამაკაცი, – და ამ დროს, როგორც შენელებულ კადრში, ისე წავედით სიღრმისკენ.

თავის გასათავისუფლებლად მამაკაცმა მტაცებელ თევზს მუშტი ცხვირ-პირში ჩასცხო. მართალია, ამის შედეგად ხელი დაიზიანა, მაგრამ იფიქრა, რომ მისი დარტყმა ასეთი დიდი თევზისთვის პწკენაზე საგრძნობიც კი არ იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ზვიგენმა ყბები გახსნა და გათავისუფლებულმა სტეინლიმ, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ნაპირისკენ გაცურა.

– თვალთ მიბნელდებოდა და მაშინ ვიფიქრე, რომ ვერ გადავრჩებოდი, – განაცხადა სერფერმა.

ნაპირზე მას ათამდე სერფერი მიეშველა. მათ სისხლდენის შესაჩერებლად სერფინგის დაფის ღვედი ფეხზე გადაუჭირეს და იქით წაიყვანეს, სადაც სასწრაფო დახმარებას შეეძლო მისვლა. სწორედ მათი მოქმედების შედეგად შეინარჩუნა ფეხი სტეინლიმ, ჩათვალეს იმ საავადმყოფოს ექიმებმა, სადაც შემდეგ მამაკაცი გადაიყვანეს.

## გოგონამ სწავლა მიატოვა და გამყიდველად მუშაობამ ბედნიერება მოუტანა




ავსტრალიაში გოგონამ სამშენებლო მაღაზიაში მუშაობის გამო უმაღლესი სასწავლებელი დატოვა და ამით ბედნიერება მოიპოვა.

22 წლის მედისონ კრამერმა განაცხადა, რომ დასავლეთ ავსტრალიის შტატის ქალაქ პერტში მდებარე ნოტრ-დამის უნივერსიტეტში სწავლა მიატოვა. იქ ის ფიზკულტურისა და ჯანმრთელი ცხოვრების წესის მასწავლებლის პროფესიას ეუფლებოდა. ბაკალავრის ხარისხის მიღებამდე ორი წელი რჩებოდა.

სწავლის დროს მედისონმა მაღაზიების ქსელში დაიწყო მუშაობა, რომელიც ბაღისა და ბოსტნის მოსავლელი მოწყობილობებით ვაჭრობს. დროთა განმავლობაში სტუდენტმა გოგონამ იგრძნო, რომ კლიენტებთან ურთიერთობა სიამოვნებდა და უფრო მეტი კმაყოფილება მოჰქონდა მისთვის, ვიდრე მის მომავალ პროფესიას. ის მიხვდა, რომ სავაჭრო დარბაზში თავს ნამდვილად ბედნიერად გრძნობდა.

კრამერმა აღნიშნა, რომ სწავლის საფასურის გადასახდელად მას 20 ათასი ავსტრალიური დოლარის ვალის აღება მოუხდა და ორ უნივერსიტეტში სწავლა დასჭირდა იმის მისახვედრად, რომ ცხოვრების არასწორი გზა შეარჩია.



## ზღვის ფსკერზე ადამიანზე დიდი ზომის უცნობი არსება შენიშნეს

წითელ ზღვაში ექსპედიციის დროს ზღვის ბიოლოგებმა შენიშნეს კალმარი, რომელიც თავისი ზომებით ადამიანს აღემატებოდა.

2020 წელს ოკეანX-ის სპეციალისტებმა 850 მეტრის სიღრმეზე ბორან „პელას“ ნამსხვრევები აღმოაჩინეს, რომელიც 2011 წელს ჩაიძირა. როდესაც ისინი ჩაძირულ ხომალდს ათვალიერებდნენ ავტომატური წყალქვეშა აპარატის დახმარებით, მისი ობიექტივის წინ ამოუცნობი არსება გამოჩნდა.

– სანამ ცოცხალი ვიქნები, არასოდეს დამავიწყდება ის, რაც შემდეგ მოხდა, – აცხადებს სამეცნიერო პროგრამის ხელმძღვანელი მეთი როდრიგი, – სანამ ჩვენ ჩაძირული ხომალდის წინა ნაწილს ვათვალიერებდით, მოულოდნელად კადრში მოხვდა უზარმაზარი არსება. მან თვალი ჰკიდა ჩვენს აპარატს და შემდეგ ხომალდის ცხვირს მთელი სხეულით შემოეხვია.

კალმარის იდენტიფიცირება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მოხერხდა, როდესაც როდრიგმა დახმარებისთვის ამერიკის ოკეანეებისა და ატმოსფეროს კვლევის ეროვნული სამმართველოს ზოოლოგს მაიკლ ვეკიონეს მიმართა. ექსპერტის დასკვნით, ის უჩვეულოდ დიდი ზომის კალმარი იყო.

## სიზმარმა მამაკაცი მილიონერი გახადა




ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ ჰამტრამკის მკვიდრმა სიზმარში ნახა, რომ ჯეკპოტი მოხსნა, მეორე დღეს კი ლატარიის ბილეთი იყიდა და გამდიდრდა.

32 წლის მამაკაცის თქმით, ის ხშირად ყიდულობს ლატარიის ბილეთებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი მეუღლე ამ ყოველივეს სკეპტიკურად უყურებს.

– ცოლს ყოველთვის ვეუბნებოდი, რომ ერთხელაც ლატარია მოგებას მომიტანდა, მაგრამ მას ჩემი არასოდეს სჯეროდა, – განაცხადა მამაკაცმა.

ამერიკელის თქმით, მან გათამაშების წინა დღეს სიზმარი ნახა, რომ დიდი თანხა მოიგო და მეორე დღესვე წავიდა ბილეთის შესაძენად.

– ბილეთის ყიდვის შემდეგ მანქანაში ჩავჯექი და დამცავი ფენის გადაფხეკა დავიწყე. მაშინვე შევნიშნე რიცხვი „04“ და ვიფიქრე, რომ 100 დოლარი მოვიგე. როდესაც დავინახე წარწერა „1 მილიონი დოლარი“, ვიფიქრე, რომ ჯერ ისევ მეძინა. მაშინვე ცოლს დავურეკე, რათა მისთვის კარგი ამბავი მეცნობებინა, – განაცხადა ლატარიის გამარჯვებულმა.

მამაკაცი მოგებული თანხით ახალი სახლისა და ავტომობილის ყიდვას აპირებს.

## მამაკაცმა ერთ დღე-ღამეში 51 პაბში დალია და გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა



დიდი ბრიტანეთის მკვიდრი გინესის რეკორდების წიგნში მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც ერთ დღე-ღამეში მრავალ პაბს ესტუმრა.

48 წლის მეთ ელისმა აღმოაჩინა, რომ გინესის რეკორდების წიგნში არ იყო ჩანაწერი ერთ დღე-ღამეში პაბებში რეკორდული რაოდენობის სტუმრობაზე. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მას უთხრეს, რომ რეკორდის დასამყარებლად დღეში მინიმუმ 50 პაბში უნდა შესულიყო. ის ვალდებული იყო, ყველა პაბში მინიმუმ 125 ნებისმიერი სასმელი დაელია.

რეკორდის დამყარებისთვის მზადებისას მამაკაცმა საჭირო დაწესებულებამდე მისასვლელი ოპტიმალური მარშრუტი შეადგინა. ასევე დარწმუნდა, რომ ყოველ მათგანში მზად იყვნენ, დახმარებოდნენ. გარდა ამისა, მას მუდმივად ილებდნენ, რათა დაემტკიცებინა, რომ ნამდვილად მოინახულა დაწესებულება, იყიდა სასმელი და დალია. ასევე ყველა დაწესებულებაში იმყოფებოდა ორი დამოუკიდებელი მოწმე. საბოლოოდ მან დღე-ღამეში 51 პაბის მონახულება მოასწრო. ის სვამდა ლუდს, ფორთოხლის წვენს, ღვინოს, გაზიან წყალსა და სხვა სასმელს.

მამაკაცმა აღიარა, რომ რეკორდის დამყარება ძალიან გაუჭირდა და განაცხადა, რომ მსგავსი რამის გამეორებას აღარ აპირებს. მისი თქმით, პრობლემას წარმოადგენდა არა ამ ღონისძიების ორგანიზება, არამედ დასალევი სითხის რაოდენობა.

## კურიერი ბავშვის გადასარჩენად შენობის ფასადით მესამე სართულზე აცოცდა



ჩინეთის პროვინცია ხენანში კურიერი საცხოვრებელი სახლის ფასადით მესამე სართულზე აძვრა გისოსებზე ჩამოკიდებული ბავშვის გადასარჩენად. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ოთხი წლის გოგონა სახლში მარტო იმყოფებოდა. ის ბინის ფანჯარაში გადაძვრა და აივნის გისოსებზე ჩამოეკიდა. ამ ყოველივეს თვითმხილველები გახდნენ მეზობლები და კურიერი. სწორედ ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა ბავშვი გადაერჩინა.

ერთ-ერთმა მეზობელმა წარუმატებლად სცადა ბავშვის უკანვე, ბინაში გადაყვანა. ამავე დროს სხვა მეზობლებმა დაბლა ზეწარი გაჭიმეს, ბავშვის ჩამოვარდნის შემთხვევაში მის დასაჭერად. კურიერი ყოველგვარი დამზღვევი საშუალებების გარეშე აძვრა შენობის ფასადით მესამე სართულამდე და ბავშვს მანამდე იჭერდა, სანამ მისი ბებია არ დაბრუნდა და სახლში არ შეიყვანა. ამ ყოველივეს შედეგად ბავშვი არ დაშავებულა. კურიერი სახლის ფასადიდან მეხანძრეებმა ჩამოიყვანეს.

## დაშვებულმა საბურავმა მამაკაცს ლატარიაში ჯეკპოტი მოახსნევინა




ამერიკის მიჩიგანის შტატში მამაკაცმა ლატარიის გათამაშებაში ჯეკპოტი იმის წყალობით მოხსნა, რომ ავტომობილს საბურავი დაეშვა.

48 წლის ჯენესის ოლქის მკვიდრმა განაცხადა, რომ ქალაქ გრანდ-ბლანში ავტოგასამართ სადგურზე იმის გამო შეიარა, რომ დაშვებული საბურავი დაებერა. მამაკაცს ფულის დასახურდავებლად მაღაზიაში მოუწია შესვლა.

მაღაზიაში შესულმა მამაკაცმა გადაწყვიტა მომენტალური ლატარიის ორი ბილეთიც შეეძინა.

– დავბრუნდი მანქანაში, ერთ-ერთ ბილეთზე გადავფხიკე დამცავი ფენა და სამი ერთნაირი რიცხვი და საპრიზო თანხა დავინახე. მაშინვე მივხვდი, რომ გავმდიდრდი! – განაცხადა მამაკაცმა. ლატარიის ბილეთმა ამერიკელს 500 ათასი დოლარის მოგება მოუტანა.

– მე და მამაჩემი მრავალი წლის მანძილზე ვთამაშობდით ლატარიას და ყოველთვის ვამბობდით, რომ თუ ჯეკპოტს მოვხსნიდით, კვლავაც თამაშის აუცილებლობა აღარ იქნებოდა. ეს იყო ბოლო ბილეთი, რომელიც ჩემ ცხოვრებაში შევიძინე, – განაცხადა ამერიკელმა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ მოგებული თანხა სამომავლოდ გადადოს.

## გველებზე მონადირემ სახლის ქვეშ ათეულობით გველი აღმოაჩინა



ამერიკის ქალაქ სანტა-როზაში საცხოვრებელი სახლის ქვეშ ათეულობით ჩხრიალა გველი აღმოაჩინეს.

ქვეწარმავლები გველებზე მონადირე ელ ვულფმა დაიჭირა, რომელიც არაკომერციულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს. მისი თქმით, მას სახლის დიასახლისმა დაურეკა, რომელმაც გველების ბუდე შენიშნა. ის შენობის ქვეშ შეძვრა და შექმნილი ვითარების შეფასების შემდეგ გადაწყვიტა, სპეციალური ხელთათმანებისთვის დაბრუნებულიყო. მისივე აღიარებით, თავისი 32-წლიანი კარიერის განმავლობაში, ერთ ადგილზე ასეთი რაოდენობის გველებს არასოდეს გადაწყდომია.

3 საათის და 40 წუთის განმავლობაში ვულფმა სახლის ქვეშიდან 22 მოზრდილი გველი და 59 გველის წიწილი გამოიყვანა. ასევე, გამოიტანა ორი მკვდარი ცხოველის კატის და ოპოსუმის გვამი. თავისი სამუშაოს ბოლომდე მისაყვანად მას დამატებით კიდევ ორი ვიზიტი დასჭირდა, რომელთა დროსაც მან კიდევ 11 მოზრდილი გველი დაიჭირა. ყველაზე მეტად კი, გველებზე მონადირე შემკვეთის, სახლის დიასახლისის უშფოთველობამ გააოცა.

– მან მითხრა: აი, თურმე რატომ არ გვყავდა მთელი ამ წლების მანძილზე მღრღნელები, – განაცხადა ვულფმა და იქვე დაამატა, – ამ ქალს გველების არ ეშინოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# მამუკელაშვილმა ნბა დააჭაშნიკა



ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში (ნბა) 75-ე სეზონი დაიწყო და პლანეტის ამ უმძლავრეს ლიგაში მე-6 ქართველის დებიუტი შედგა. 22 წლის სანდრო მამუკელაშვილმა მოქმედი ჩემპიონის – მილუოკი ბაქსის შემადგენლობაში პირველი ოფიციალური მატჩი ითამაშა. მართალია, დასაწყისი შედეგიანი ვერ გამოდგა, რადგან ახალბედა ქართველს მხოლოდ 7 წუთი დაუთმეს, მაგრამ უკვე სერიოზული მოვლენაა და იმედს ვიტოვებთ, რომ მამუკელაშვილი ნბა-ში ფეხს მყარად მოიკიდებს.

გეტყვით, რომ ნბა-ში აქამდე ვლადიმერ სტეფანიას, ნიკოლოზ ცქიტიშვილს, ზაზა ფაჩულიას, თორნიკე შენგელიას და გოგა ბითაძეს უთამაშიათ. ამ რიცხვს სანდრო მამუკელაშვილიც შეუერთდა. კიდევ ერთი კალათბურთელი, ვიქტორ სანიკიძე დრაფტზე კი აირჩიეს, მაგრამ ლიგაში არ უთამაშია.

მილუოკის მეტოქე ვარსკვლავებით სავსე ბრუკლინ ნეთსი იყო, რომელსაც „ხარირმებმა" საკმაოდ იოლად – 127:104 მოუგეს. მამუკელაშვილი თამაშში პირველად მეორე მეოთხედის დასაწყისში ჩაერთო, შემდეგ კი, მაიკ ბუდენჰოლცერმა მატჩის მიწურულს შეიყვანა. სანდრომ ჯამში 7 წუთი ითამაშა, 1 მოხსნისა (დაცვაში) და 1 პასის დაგროვება მოასწრო.

მილუოკიმ კარგად დაიწყო და მეოთხედის ბოლოს 12 ქულით წინ გავიდა. ნეტსმა დიდ შესვენებამდე სხვაობა 7 ქულამდე შეამცირა, მაგრამ საბოლოო ჯამში ვერაფერი მოახერხა და სეზონის პირველ მატჩში დამარცხდა.

საუკეთესო იანის ატეტეკუმპო იყო, რომელმაც 32 ქულითა და 14 მოხსნით ორმაგი დუბლი გაიფორმა, სამმაგ დუბლამდე კი, 3 პასი დააკლდა. ბაქსის მხრიდან გამორჩეულები იყვნენ ასევე პეტ კონაუტონი და კრის მიდლტონი, რომლებსაც 20-20 ქულა ჰქონდათ. ნეტსის მხრიდან ორმაგი დუბლი შეასრულა კევინ დურანტმა, რომლის ანგარიშზეც 32 ქულა და 11 მოხსნაა. შესანიშნავი შედეგი ჰქონდა პატი მილსს, რომელმაც 7-დან შვიდივე სამქულიანი გამოიყენა და 21 ქულა მიითვალა.

შემდეგ მატჩს სანდრო მამუკელაშვილის მილუოკი ბაქსი 22 ოქტომბერს მაიამი ჰიტთან გამართავს. მანამდე საქმეში გოგა ბითაძის ინდიანა პეისერსი ჩაერთვება, რომელიც შარლოტ ჰორნეტსს შეხვდება.

# ფეხბურთში გადატრიალებისთვის ემზადებიან

ბოლო პერიოდში ფიფა თავს იკლავს, მსოფლიო ჩემპიონატი ყოველ 2 წელიწადში უნდა ჩავატაროო. ეს კი მსოფლიო ფეხბურთის განხეთქილებისკენ მიგვანიშნებს.




საქმე ის არის, რომ ფიფას ამ იდეას უეფა ეწინააღმდეგება, ხოლო თუ მაინც ასე მოხდა, 10-ზე მეტი ევროპული ასოციაცია მსოფლიოს მმართველი საფეხბურთო ორგანოდან გასვლას განიხილავს. ევროპულ მედიაში ჯერჯერობით არ ხმაურდება ის 10 ქვეყანა, რომელიც ფიფადან გასვლას ცდილობს, მაგრამ დარწმუნებით წერენ.

2026 წლიდან მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე 31-ის ნაცვლად 48 გუნდის მონაწილეობა უკვე გადაწყვეტილი ამბავია, ხოლო ორწლიან ციკლზე გადასვლა, ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია და თუ შეთანხმება მიღწეული იქნება, ძალაში 2026 წლიდან შევა.

არადა, თუ ფიფა და უეფა ერთმანეთთან უბრად იქნებიან, ფეხბურთისთვის კარგი ნამდვილად არ იქნება.

თავის მხრივ, საქმეები კარგად არც უეფას აქვს: ინგლისური ტაბლოიდების ინფორმაციით, საფეხბურთო სუპერლიგა, რომელშიც მხოლოდ მადრიდის რეალი, ბარსელონა და ტურინის იუვენტუსი არიან გაერთიანებული, ბრძოლას მსოფლიო საფეხბურთო სივრცეში დამკვიდრებისთვის აგრძელებს. თუმცა, ახლა უფრო მოკრძალებულად იქცევა და უფრო გახსნილ ფორმატს გვთავაზობს.

როგორც ჩანს, სუპერლიგას 16 გუნდით დაკმაყოფილება არ სურს და ახალი ფორმატით 40 გუნდის მონაწილეობას გეგმავს. ორ 20-გუნდიან ლიგად დაიყოფიან: უმაღლესი და რანგით დაბალი, საიდანაც მოწინავე გუნდებს საშუალება ექნებათ, ერთი საფეხურით დაწინაურდნენ. სუპერლიგა აცხადებს, რომ ხარჯებს უმკაცრესად გააკონტროლებს, რათა ბიუჯეტების დაგეგმილი ცვლილებები ფინანსური „ფეარ ფლეის" პრინციპების ფარგლებში დარჩეს.

შეგახსენებთ, სუპერლიგა აპრილში 12 კლუბის მონაწილეობით შეიქმნა, მაგრამ სულ რაღაც 48 საათი იარსება და შემდეგ იქ მხოლოდ 3 კლუბის დარჩა. უეფამ 7 მაისს მათ წინააღმდეგ სანქციები შემოიღო, მაგრამ სუპერლიგის ხელმძღვანელობამ სამოქალაქო სასამართლოში საქმე მოიგო და უეფას მათ წინააღმდეგ სანქციების გაუქმება დაავალა.

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი" ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**ნანა ნადარეიშვილი:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**მზია დუნდუა:** მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# უხვგოლიანი ლიგა

ჩემპიონთა ლიგის მესამე ტურის პირველ სათამაშო დღეს ტურის რვა მატჩი გაიმართა და საკმაოდ უხვგოლიანიც გამოდგა. საშუალოდ მატჩში 4 გოლზე მეტი გავიდა



**ა ჯგუფი**

**ბრიუგე-სიტი 1:5**

0:1 კანსელუ (30), 0:2 მარეზი (43პ), 0:3 უოკერი (53), 0:4 პალმერი (67), 1:4 ვანაკენი (81), 1:5 მარეზი (84)

პეპ გვარდიოლას მანჩესტერ სიტიმ ბელგიაში ბრიუგე 5:1 გაანადგურა. რიად მარეზმა დუბლი შეასრულა, გოლები მცველებმაც – კანსელომ და კაილ უოკერმა გაიტანეს. ხოლო კიდევ ერთი გოლი სიტის რიგებში 19 წლის კოულ პალმერმა, რომლისთვისაც ეს ჩემპიონთა ლიგაზე პირველი გოლი გამოდგა.

ერთადერთი საპასუხო გოლი ბელგიელთაგან კოულ პალმერის ანგარიშზეა.

**პსჟ-ლაიფციგი 3:2**

1:0 მბაპე (9), 1:1 სილვა (28), 1:2 მუკიელე (57), 2:2, 3:2 მესი (67, 74პ)

სიტის გამარჯვებას მოგებით უპასუხა პარი სენ-ჟერმენმა, მაგრამ ბლომადაც ინერვიულა. ლეო მესიმ 2 გოლი გაიტანა, რისი წყალობითაც პარი სენ ჟერმენმა ლაიფციგს 3:2 მოუგო, თან 1:2-ს აგებდა.

მართალია, ანგარიში კილიან მბაპემ გახსნა, მაგრამ გერმანული გუნდის ფეხბურთელებმა ანდრე სილვამ და ნორდი მუკიელემ შესვენებამდე და შესვენების შემდეგ გატანილი გოლებით ლაიფციგი დააწინაურეს.

მესიმ ანგარიში 67-ე წუთზე გაათანაბრა, 7 წუთის შემდეგ კი პენალტით გამარჯვების გოლი შეაგდო.

მბაპეს კიდევ შეეძლო გოლის გატანა, როდესაც მესიმ ჰეთ თრიკზე უარი თქვა და პენალტის დარტყმა ახალგაზრდა თანაგუნდელს დაუთმო, მაგრამ ფრანგმა კარს ააცილა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| 2.სიტი | 3 | 2 | 0 | 1 | 11-6 | 6 |
| 3.ბრიუგე | 3 | 1 | 1 | 1 | 4-7 | 4 |
| 4.ლაიფციგი | 3 | 0 | 0 | 3 | 6-11 | 0 |



**ბ ჯგუფი**

**ატლეტიკო-ლივერპული 2:3**

0:1 სალაჰი (8), 0:2 კეიტა (13), 1:2, 2:2 გრიზმანი (20, 34)), 2:3 სალაჰი (78პ)

**გაძევება:** გრიზმანი (52)

ტურის ერთ-ერთ ცენტრალურ შეხვედრას მადრიდმა უმასპინძლა, სადაც ატლეტიკო 2:3 დამარცხდა ლივერპულთან.

მთელმა მსოფლიომ მიაქცია ყურადღება, რომ ატლეტიკოს მწვრთნელი დიეგო სიმეონე საფინალო სასტვენის შემდეგ გასახდელში გაიქცა. მას გამარჯვებული კოლეგისთვის, ლივერპულის თავკაც იურგენ კლოპისთვის არ მიულოცავს.

მატჩი დრამატული გამოდგა: „ვანდა მეტროპოლიტანოზე" ლივერპულმა მო სალაჰის დარტყმით მე-8 წუთზე ანგარიში გახსნა, ხოლო მე-13 წუთზე სტუმრები უკვე სოლიდურად იგებდნენ – საჯარიმოს მისადგომებიდან ატლეტიკოს კარში ნაბი კეიტამ დააქუხა გაუჩერებლად.

მადრიდელებმა უტეხი სული გამოავლინეს და მე-20 წუთზე ანტუან გრიზმანმა სხვაობა შეამცირა. 34-ე წუთზე კი, ფრანგმა ანგარიში გაქვითა და ვინ იცის, მატჩის გმირობასაც უმიზნებდა, მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისში ორთაბრძოლის დროს ფეხი მაღლა აწია, რობერტო ფირმინოს სახეში მოარტყა და პირდაპირი წითელი ბარათით დაისაჯა.

გამარჯვების გოლი ლივერპულმა 78-ე წუთზე პენალტით გაიტანა – 11 მეტრიდან ზუსტად სალაჰმა დაარტყა.

**პორტუ-მილანი 1:0**

1:0 დიასი (65)

პორტუმ საკუთარ მოედანზე ლუის დიასის გოლით მილანი დაამარცხა და ფლეი ოფში გასვლის შანსი დაიტოვა.

აი, მილანს კი საქმე უკვე რთულად აქვს – გუნდს 0 ქულა აქვს და ძალიან მაგარი ბრძოლების გადატანა მოუწევს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 3 | 3 | 0 | 0 | 11-5 | 9 |
| 2.ატლეტიკო | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 3.პორტუ | 3 | 1 | 1 | 1 | 2-5 | 4 |
| 4.მილანი | 3 | 0 | 0 | 3 | 3-6 | 0 |

**ც ჯგუფი**

**აიაქსი-დორტმუნდი 4:0**

1:0 როისი (11სკ), 2:0 ბლინდი (25), 3:0 ანტონი (57), 4:0 ალერი (74)

ამსტერდამის აიაქსი საოცარ ფეხბურთს თამაშობს. ერიკ ტენ ჰაგის გუნდმა ამჯერად დორტმუნდი გაანადგურა – 4:0.

მორიგი გოლი გაიტანა ალერმა, რომელიც ამ დროისთვის ლიგის საუკეთესო ბომბარდირია.

**ბეშიქთაში-სპორტინგი 1:4**

0:1 კოატესი (15), 1:1 ლარინი (24), 1:2 კოატესი (27), 1:3 სარაბია (44პ), 1:4 პაულინიუ (89)

აქამდე უქულო გუნდების მატჩში ბეშიქთაშმა ლისაბონის სპორტინგს უმასპინძლა და 1:4 დამარცხდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აიაქსი | 3 | 3 | 0 | 0 | 11-1 | 9 |
| 2.დორტმუნდი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-5 | 6 |
| 3.სპორტინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-7 | 3 |
| 4ბეშიქთაში | 3 | 0 | 0 | 3 | 2-8 | 0 |

**დ ჯგუფი**

**ინტერი-შერიფი 3:1**

1:0 ჯეკო (34), 1:1 ტილი (52), 2:1 ვიდალი (58), 3:1 დე ვრეი (67)

ტირასპოლის შერიფის ზღაპარი მილანში დასრულდა, სადაც 1:3 წააგო ინტერთან. მადრიდის რეალმა კი, უკრაინაში შახტარს 5 გოლი გაუტანა და საკუთარი მაყურებლის თვალწინ შეარცხვინა.

**შახტარი-რეალი 0:5**

0:1 კრივცოვი (37სკ), 0:2, 0:3 ვინისიუსი (51, 56), 0:4 როდრიგო (64), 0:5 ბენზემა (90)

მადრიდის რეალმა წინა ტურში შერიფთან განცდილი საშინაო მარცხის შემდეგ სრული რეაბილიტაცია მოახდინა და დონეცკის შახტარი უკრაინაში გაანადგურა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.შერიფი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 2.რეალი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-2 | 6 |
| 3.ინტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 4.შახტარი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-7 | 1 |

# შედეგები

## 19 ოქტომბერი

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

ბრიუგე-სიტი .......... 1:5
პსჟ-ლაიფციგი .......... 3:2
ატლეტიკო-ლივერპული .......... 2:3
პორტუ-მილანი .......... 1:0
აიაქსი-დორტმუნდი .......... 4:0
ბეშიქთაში-სპორტინგი .......... 1:4
ინტერი-შერიფი .......... 3:1
შახტარი-რეალი .......... 0:5

**უეფას ევროპის ლიგა**

სელტიკი-ფერენცვაროში .......... 2:0

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

ბრისტოლი-ნოტინგემი .......... 1:2
დერბი-ლუტონი .......... 2:2
ქპრ-ბლექბერნი .......... 1:0
სტოკი-ბორნმუთი .......... 0:1
შეფილდი-მილუოლი .......... 1:2

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

უესკა-მალაგა .......... 0:0
კარტახენა-ხიხონი .......... 1:0
ტენერიფე-ეიბარი .......... 0:1

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ჩრდილო აფრიკაში მცხოვრები არაბების ძველი სახელწოდება; 2. წაგრძელებული, უგუმბათო ტაძარი; 3. უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან; 5. საკანონმდებლო ორგანო; 4. კუთხე საქართველოში; 10. არგენტინის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის ფეხბურთელი; 11. ნეფე-დედოფლის თანმხლები პირები ქორწილში; 12. გერმანული ჟურნალი; 13. გემის სამზარეულო; 16. პირველი იტალიელი ასტრონავტი; 17. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-თეატრალური წარმოდგენა; 19. ევროპელ ებრაელთა საერთო სახელწოდება; 21. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 23. სამონასტრო კომპლექსი გორის რაიონში.

**თარაზულად:** 6. ტბა საქართველოში; 7. ძუნწი, ძალზე ხელმომჭირნე ადამიანი; 8. მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 9. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 14. გრიგოლ აბაშიძის რომანი; 15. ქართველი მწერალი; 18. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 20. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 22. ქართველი მწერალი ლეო ... 24. ცნობილი ქართველი ინფექციონისტი, ეპიდემიოლოგი, პროფესორი; 25. მდინარე ბოლნისში; 26. ქართული რადიო.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მესა; 2. ომი; 3. ვილსდორფი; 4. შნეკი; 5. ცინიზმი; 8. ნანა; 9. დელიქტი; 10. ტარიბანა; 12. ძელქვა; 13. სეიმი; 15. წუნდა.

**თარაზულად:** 1. მაესტრო; 6. დიპტანკი; 7. სენტო; 10. ტესტი; 11. ონისე; 13. სპიჩი; 14. ანწლი; 16. ქუჯი; 17. იაგუნდი; 18. ქაჯაია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დამბაჩა; 2. ოვოცკოპი; 3. აკორდეონი; 4. ხინკალი; 5. ბაკხანალია; 10. რაბატი; 11. საქსაული; 12. ალიგოტე; 13. პრუდონი; 16. პორტოფინო; 17. ბოლერონი; 19. არეოპაგი; 21. ელესა; 23. მოცვი.

**თარაზულად:** 6. სანგვინიკი; 7. დივიზია; 8. პანიკა; 9. ადმირალი; 14. თრიალეთი; 15. ტრიპიტაკა; 18. სილვა; 20. პოლგარი; 22. ვიმპელი; 24. გლაქსო; 25. ყინწვისი; 26. ჰავანა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


21 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1411

ევრო — 3.6531

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3234

100 რუსული რუბლი — 4.4252

## ამინდის პროგნოზი 21 ოქტომბრისათვის




## კარლო ანჩელოტი: „რეალმა შესანიშნავად ითამაშა“



მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ შახტართან თამაში შეაფასა და თქვა რომ მისმა გუნდმა ძალიან გამართული ფეხბურთი შესთავაზა მაყურებელს და სრულიად დამსახურებულად მოიგო.

რეალმა შახტარს 5:0 მოუგო და ჯგუფში მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესა:

– ყველა ფეხბურთელს მინდა მადლობა ვუთხრა, რადგან მათ შესანიშნავი შეხვედრა ჩაატარეს. განსაკუთრებით ეს მეორე ტაიმს ეხება, როდესაც მეტოქეს შანსი არ დავუტოვეთ.

## დემბელე მოედანზე დაბრუნებასთან ახლოს არის



ბარსელონას ფორვარდი უსმან დემბელე მოედანზე დაბრუნებასთან ახლოს არის და შესაძლოა ის ესპანეთის ჩემპიონატის შემდეგ ტურში უკვე მოედანზე ვიხილოთ.

დემბელემ ტრავმა ევროპის ჩემპიონატზე მიიღო და მას შემდეგ ის მოედანზე არ გამოსულა. ზოგადად ბარსელონაში გადასვლის შემდეგ დემბელეს ხშირად აწუხებს ტრავმები და ამის გამო მან ბევრი შეხვედრა გამოტოვა.

## ზლატან იბრაჰიმოვიჩი: „პორტოსთან მილანმა ცუდად ითამაშა“



მილანი პორტოსთან დამარცხდა და ჩემპიონთა ლიგაში გუნდს 3 თამაშის შემდეგ ნული ქულა აქვს.

შემდეგ ეტაპზე ის დიდი ალბათობით ვერ გავა.

იბრაჰიმოვიჩმა მატჩის შემდეგ კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ მილანმა ცუდად ითამაშა:

– მილანი ნამდვილად ცუდ ფორმაშია და ჩვენ შეცდომები აღარ უნდა დავუშვათ, იმიტომ, რომ ამისი უფლება აღარ გვაქვს. ჩემპიონთა ლიგაში ბრძოლას გავაგრძელებთ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## „ლეგოს“ შაშხანიანმა მოზარდმა მოსახლეობა შეაშინა



გერმანიაში მოზარდმა, რომელიც ქუჩაში იარაღით სეირნობდა, ადგილობრივი მცხოვრებლები პანიკაში ჩააგდო.

გავრცელებული ინფორმაციით, ინციდენტი 15 ოქტომბერს დღისით მოხდა გერმანიის ბავარიის მხარის ქალაქ ლინდაუში. რესტორნის ერთ-ერთი სტუმარი იმან შეაშინა, რომ დაწესებულების მახლობლად დასეირნობდა მოზარდი, რომელსაც ხელში იარაღის მსგავსი ნივთი ეჭირა და ამის შესახებ პოლიციას აცნობა. გარდა ამისა, მოზარდს სამხედრო, შემნიღბავი კოსტიუმი ეცვა.

გამოძახებაზე ლინდაუს და ახლოს მდებარე რაიონების ფედერალური პოლიციის საპატრულო მანქანები მივიდნენ. აღმოჩნდა, რომ 15 წლის ყმაწვილს მოცემული „შაშხანა“ „ლეგოს“ კონსტრუქტორის დეტალებისგან ჰქონდა აწყობილი და ის გარშემომყოფთათვის საფრთხეს არ წარმოადგენდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 21 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – საკუთარ ჯანმრთელობას ყურადღებით მოეკიდეთ. ზომიერად დაკავდით სპორტით. **კურო** – საქმიანი კონტაქტებისათვის შესაფერისი დრო არ არის. ახალი ნაცნობობა ნეგატიურ შედეგს გამოიღებს. **ტყუპები** – მიზნის მიღწევისთვის საბრძოლველად არაკეთილისმყოფელი დღეა. ერიდეთ სარისკო ფინანსურ ოპერაციებს. **კირჩხიბი** – დღეს ყველაზე არასასიამოვნო, რაც კი შეიძლება შეგემთხვეთ, ახლობელთან კამათი იქნება. მთლიანობაში, პოზიტიური პერიოდია. **ლომი** – ნებისმიერ დაბრკოლებას გადალახავთ, რაშიც თქვენი ენერგიულობა და პრინციპულობა დაგეხმარებათ. **ქალწული** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა ახალი საქმის დასაწყებად, შემოქმედებითი არეალის გასაფართოებლად. **სასწორი** – დაგროვილი ყოფითი პრობლემები დაუყოვნებლივ მოაგვარეთ, საღამოს კი გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე, გაერთეთ მეგობრებთან ერთად. **ღრიანკალი** – თუ გონიერი ადამიანის რჩევას არ გაითვალისწინებთ, დაზარალდებით. შინაგან დაძაბულობას თავს მარტივად ვერ დააღწევთ. **მშვილდოსანი** – აქტიურად დაისვენეთ. მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა სასარგებლო იქნება. **თხის რქა** – ენთუზიაზმით ხართ სავსე. გსურთ, ყველა საქმე ერთბაშად გააკეთოთ. ბედი გწყალობთ. **მერწყული** – საქმიანი შეხვედრები წარმატებას მოგიტანთ. ცივი გონებით იმოქმედეთ. **თევზები** – პირად ცხოვრებაში პრობლემები შეგექმნებათ. მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებთან ურთიერთობას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– აიცერი?

– ჯერ არა.

– რატომ?

– აცრის შემდეგ რამდენიმე დღე დალევა არ შეიძლებაო და ზამთარს ველოდები.

– ეგ რა შუაშია?

– რა და ზამთარში ხომ მოკლე დღეებია.

•••

ექიმი პაციენტ მამაკაცს ეკითხება:

– სვამთ?

– ვსვამ.

– ეწევით?

– ვეწევი.

– მაშ რაღას ითხოვთ ამის შემდეგ?

– ქალს!

•••

სექს-შოპში გამყიდველი კლიენტს ეუბნება:

– ეს არის ჩვენი სადომაზოხიზმის განყოფილება. აი, მათრახები, ხელბორკილები, სამაჯურები ეკლებით და ბოლოს ექსკლუზივი, ჩვენი ფეხბურთელთა ნაკრების თამაშების ვიდეოჩანაწერების ნაკრები...

•••

რაიონულ საავადმყოფოში ქირურგი მედდას მიმართავს:

– ნარკოზი!

– რომელი?

– ჩვენი, ადგილობრივი.

– იავნანა, ვარდოვნანა...

•••

რესტორანში კლიენტი ოფიციანტს შეკვეთას აძლევს:

– ჭიქა არაყი, ბოკალი ღვინო, ჭიქა კონიაკი, ბოკალი შამპანური, კათხა ლუდი და ჩაი. ჩაი, თუ შეიძლება, მაგარი არ იყოს, სუსტი გული მაქვს.

•••

კანიბალებმა ქართველი ტურისტი დაიჭირეს. ჯოხზე დააბეს და ცეცხლზე შემოდეს. ცოტა ხანში ბელადი მოვიდა და თავისიანებს ეუბნება:

– ნელა ატრიალეთ, რომ კარგად შეიწვას, ხომ იცით, კარგად შემწვარი მიყვარს.

– თავიდან ნელა ვატრიალებდით, მაგრამ ნაკვერჩხლებიდან შემწვარ კარტოფილს გვპარავდა და ამიტომ ავუჩქარეთ.

•••

დამთვალიერებელი მუზეუმის თანამშრომელს ეკითხება:

– ეს ვისი სურათია.

– აკაკი წერეთელის.

– და ეს?

– ეგ ილია ჭავჭავაძის.

– და, რომ იბღვირება?

– ეგ სარკეა ბატონო!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## დათო ხუჯაძე გოგონას მამა გახდება



მომღერალი დათო ხუჯაძე გოგონას მამა გახდება. ის და მისი მეუღლე ეკა დალაქიშვილი პირველ შვილს ელოდებიან.

მომღერლისთვის ეს მეორე ქორწინებაა. პირველად დათო ნათია ონიანზე იყო დაქორწინებული და მასთან ქალიშვილი მელანია ჰყავს.

## ლელა მებურიშვილი საცხოვრებლად ლონდონში წავიდა



მსახიობი ლელა მებურიშვილი საქართველოდან წავიდა. ის ლონდონში იცხოვრებს.

ამის მიზეზი ლელას მეუღლის – ბაჩო საგანელიძის სამსახურია. იგი ელჩის მოადგილედ დანიშნეს, რის გამოც, ოჯახს საქართველოს დატოვება მოუწია.

## ზურაბ რთველიაშვილის პიესას ახმეტელის თეატრში დადგამენ



პოეტისა და პერფომერის ზურაბ რთველიაშვილის დაბადების დღეზე „ალტერნატიულ კულტურულ სივრცეში №12“ პერფორმანსში ზურაბ რთველიაშვილის სახელობის პრემიის გადაცემის ცერემონიალი გაიმართა.

ღონისძიების ფარგლებში ახმეტელის თეატრის მსახიობებმა ზურაბ რთველიაშვილის პიესა „ქვემოდან ზემოთ“ წაიკითხეს, რომლის რეჟისორიც ირაკლი გოგიაა.

პროექტის ფარგლებში მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში ახმეტელის თეატრში ზურა რთველიაშვილის პიესის მიხედვით პრემიერა გაიმართება – ეს იქნება მისი პიესის პირველი განხორციელება ქართულ სცენაზე.

## ლიზა ყენია ფილმში გადაიღეს



მომღერალი ლიზა ყენია ფილმში გადაიღეს. გიორგი მეგრელიშვილმა და ბესო კვარაცხელიამ მაყურებელს კინოთეატრ „ამირანში“ ერთობლივი ნამუშევარი „ნამცეცას და გულივერას თავგადასავალი“ შესთავაზეს.

– „რა შეიძლება მოხდეს, როდესაც ეშმაკუნა სიკეთის გაკეთებას მოინდომებს?“ – ეს არის კითხვა, რომელსაც ფილმის ავტორები სვამენ.

კომედიური ჟანრის ფილმში ლიზა ყენიასთან ერთად მონაწილეობენ დავით ქაცარავა, გოგა ჩანადირი, გიორგი მეგრელიშვილი, ვაჟა ბიძინაშვილი, ზურაბ აზმაიფარაშვილი.

გოგა ჩანადირი:

– რამდენიმე თვე ველოდი ფილმ „ნამცეცას და გულივერის თავგადასავლის“ პრემიერას, რომელიც „ამირანში“ შედგა. ეს არის კომედიური ჟანრის ფილმი და რეჟისორები არიან გიორგი მეგრელიშვილი და ბესარიონ კვარაცხელია.

დიდი მოლოდინით იმიტომ ველოდი, რომ მეც ვასრულებ ერთ-ერთ როლს, კერძოდ, ჩანადირი ტვ-ს წამყვანისას. ჰო არაფერი, მაგრამ საოცრად ვისიამოვნე სცენაზე დგომითაც და ფილმში თამაშითაც.

მალე დიდ ეკრანებზე გამოვა და როგორც ჩემ გვერდით მჯდომი მეგობარი მამხნევებდა, კარგადაც მითამაშია და ამაში თქვენ უკეთესად დარწმუნდებით.

## გიგა ლორთქიფანიძე 94 წლის გახდებოდა



რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე 94 წლის გახდებოდა. იუბილარი ხელოვანი მისმა უმცროსმა კოლეგამ, რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა გაიხსენა:

– მისი დაბადების დღეა! 94 წლის შესრულდებოდა – 8 წელიწადია, რაც დაგვტოვა.

იგი ჩემი პედაგოგი იყო. ჩემს პირველ პედაგოგს, ქალბატონ ლილი იოსელიანს ხშირად უთქვამს – იშვიათი ნიჭის კაციაო. დიახ – იშვიათი ნიჭის კაცთან მქონდა ბედნიერება, რამდენიმე წელი ერთ აუდიტორიაში გამეტარებინა.

რაში მდგომარეობდა მისი ნიჭიერების იშვიათობა?! აქ, ამ შემთხვევაში შემოქმედებით ნიჭიერებას არ ვგულისხმობ. ამას ჩემი ფიცი-მტკიცი არ სჭირდება, ეს ხომ ისედაც ყველასათვის ცნობილი და დადასტურებული ფაქტია. მისი ნიჭიერება გამოიხატებოდა როგორც ყოველდღიურ ურთიერთობებში, ისე იმ საქმიანობაში, რაშიც მთელი შემართებით შეებმებოდა ხოლმე.

იშვიათი ნიჭის კაცი იყო ბატონი გიგა!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ინფორმაციის ერთეული გამოთვლით ტექნიკაში; 2. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 3. მედიცინაში გამოყენებული ფუტკრის მიერ გამომუშავებული ნივთიერება; 4. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 5. ბეისბოლისტის ამპლუა; 8. ქართული ფული; 9. სამხედრო გემთმშენებლობის ცენტრი საფრანგეთში; 10. მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი იტალიელი კომპოზიტორი; 12. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 13. ინგლისის ნაკრებისა და „ტოტენჰემის“ ფეხბურთელი; 15. ოქროთი ან ვერცხლით დაფარული ხის ან ლითონის ნაკეთობა.

**თარაზულად:** 1. ძველებური აბრეშუმის სამკუთხა ხელსახოცი, ყარაჩოღელთა ტანსაცმლის ატრიბუტი; 6. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 7. ლუდის სასმელი კათხა; 10. პატარა, მოკლებეწვიანი, დეკორატიული ჯიშის, ოთახის ძაღლი; 11. ორი ზღვის დამაკავშირებელი ვიწრო გასასვლელი; 13. მდინარის თევზი; 14. პირველი, ახლად მოსული თოვლი; 16. თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში კახეთში; 17. ქართული ძილისპირული; 18. კომპანია „ზარას“ მფლობელი.




*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*